ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ავღანეთში ერთი ქართველი სამხედრო დაიღუპა, სამი კი დაშავდა



გვ.4

1 აგვისტოდან

მაია ბურჭულაძე

უფასო ბილეთი წარსულში

ორშაბათის სიზმარი

ქართული დეტექტივი მე-15 ტომი

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი




შაბათი – კვირა, 5 – 6 ივლისი, 2017 | №184 (7419) | ფასი: 50 თეთრი

# დატოვებს თუ არა დავით სერგეენკო პოსტს



## ოპოზიციამ ჯანდაცვის სამინისტროსთან მავთულხლართები გაავლო

გვ.4

„ოკუპაციის აღიარება და იმის თქმა, რომ ჩვენი ბრალია, ძალიან არასწორია და შეიძლება წინ დაგვხვდეს ძალიან, იმიტომ რომ მთავრობის წევრის განცხადებაა.

## „მამა გიორგის აიძულებდნენ ელიარებინა, რომ პატრიარქს კლავდა“



გვ.2

შეცვალა თუ არა დეკანოზმა ჩვენება



გვ.2

## საქართველოს პროკურატურა პოლონეთს სააკაშვილზე ინფორმაციას სთხოვს

რატომ ჩავიდა ყოფილი პრეზიდენტი ვარშავაში

## მამუკა კაციტაძე: „ხელისუფლება ოპოზიციას აიგნორებდა“



გვ.3

## ექსპერტები: „მსოფლიო ომი მომწიფდა“





გვ.5

კონგრესი პენტაგონს რუსეთთან დადებული ხელშეკრულების დარღვევას აიძულებს

## რა ეტაპების გავლაა საჭირო უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის დროს?



გვ.6

## უმსხვილესი ჰაკერული თავდასხმები, რომელთა შედეგად ბანკებმა მილიარდობით დოლარი დაკარგეს

გვ.6





გვ.6

## „სითი პარკს“ ხვიჩა მაქაცარია არ ყიდულობს

## გაზის ტარიფების ცვლილების ზეგავლენა ოჯახის მთლიან ხარჯებზე

გვ.5



ISSN 1987-9385

# „მამა გიორგის აიძულებდნენ ელიარებინა, რომ პატრიარქს კლავდა“

შორენა მარსაგიშვილი

**ციანიდის საქმეზე სასამართლოს ჩვენება დეკანოზმა გიორგი მამალაძემ მისცა. მისი მოსმენა ყველას აინტერესებდა, მაგრამ სასამართლო კვლავ დახურულ რეჟიმში მიმდინარეობს.**



ადვოკატ პაატა მეხრიშვილის განცხადებით, დეკანოზმა გიორგი მამალაძემ ჩვენების მიცემა თავისი განვლილი ცხოვრების აღწერით დაიწყო.

მეხრიშვილის თქმით, პროცესზე ბრალდებულმა აღნიშნა, რომ უკრაინაში მოღვაწეობის შემდეგ საქართველოში, იმ ეპარქიაში დაიწყო საეკლესიო მოღვაწეობა, სადაც დარჩენა პატრიარქმა სთხოვა.

დაცვის მხარის განმარტებით, დეკანოზის ჩვენებაში გაჟღერდა ყველა ის ინფორმაცია, რომლებზეც მან გამოძიების პირველ ეტაპზე ერთხელ უკვე ისაუბრა.

– ის ვალდებული ამ ჩვენებაზე არ იყო, მისი სურვილია, დაეხმაროს სასამართლოს, რომ გაირკვეს სიმართლე. რომც არ მიეცა ჩვენება, ბრალდების მტკიცებულებები არ იყო საკმარისი მამა გიორგის დანაშაულის დასადგენად.

მან დაიწყო საუბარი იმაზე, თუ როგორ მოხდა მისი ეკლესიასთან დაკავშირება, როგორ მოხდა მღვდლად კურთხევა, სად და როდის მოღვაწეობდა – ჯერ უკრაინაში და შემდგომ საქართველოში, ასევე როგორ სთხოვა მას პატრიარქმა საქართველოში დარჩენა. მას ამის სურვილი არ ჰქონდა და თავად პატრიარქმა სთხოვა, დაბრუნებულიყო იმ ეპარქიაში, საიდანაც დაიწყო მოღვაწეობა.

თავისი გავლილი ცხოვრების აღწერით დაიწყო თავისუფალი თხრობის რეჟიმში ჩვენების მიცემა. მას ყველა წინადადებასა თუ ფრაზაზე აქვს კონკრეტული ახსნა და პასუხები, თუ რას და რატომ გულისხმობდა იმ აუდიო-ვიდეოჩანაწერში, რომელიც პროკურატურას გააჩნია, – განაცხადა პაატა მეხრიშვილმა.

მამა გიორგი მამალაძის მეორე ადვოკატ გიორგი ფანცულაიას თქმით, დეკანოზის ჩვენება დაფუძნებულია მხოლოდ ფაქტებსა და დოკუმენტებზე.

– მამა გიორგი დეტალურად ყვება, თუ როგორ არ არეკვინებდნენ რამდენიმე საათის განმავლობაში, როგორ სთხოვდნენ, გინდა თუ არა ელიარებინა, თითქოს ის პატრიარქს კლავდა, ასევე აიძულებდნენ, მეუფე დიმიტრი და სოსო ოხანაშვილი დაესახელებინა. ყველა ეს მის მიერ მიწოდებული ინფორმაცია ეფუძნება ფაქტებსა და დოკუმენტებს და იმედს ვიტოვებ, რომ სასამართლო ობიექტური იქნება, – განაცხადა გიორგი ფანცულაიამ.

მისივე ინფორმაციით, მამა გიორგიმ სასამართლოს უამბო, რომ სინამდვილეში ის გაიტაცეს და მის გატაცებაში 5 პირი მონაწილეობდა.

## შეცვალა თუ არა დეკანოზმა ჩვენება

ფანცულაიას თქმით, დეკანოზმა იმაზეც ისაუბრა, თუ როგორ ჩაუდეს მას ციანიდი.

– სასამართლოზე მამა გიორგი მამალაძემ დაადასტურა, რომ ის ხუთმა ადამიანმა მოიტაცა „მინივენით“. დეკანოზი მზად არის, ამოიცნოს აქედან ოთხი ადამიანი. მან ასევე თქვა, რომ ორი გამომძიებელი, რომლებიც ოქმში არიან დაფიქსირებული და ჩვენებები აქვთ მიცემული, საერთოდ არ ყოფილან დაკავების მომენტში.

დეკანოზი ასევე დეტალურად იხსენებს, თუ როგორ გაკოჭეს მოტაცების შემდეგ და წაიყვანეს პროკურატურაში, რას ეუბნებოდნენ, ასევე დაკითხვაზე დეტალურად გაიხსენა, თუ რა ზეწოლა ხორციელდებოდა მისი დაკავების დღიდან, – აღნიშნა ფანცულაიამ.

მისი თქმით, დეკანოზის ჩვენებამ პროკურორები წყობილებიდან გამოიყვანა.

– დეკანოზის ჩვენებას პროკურორების სასამართლო პროცესზე მწყობრიდან გამოსვლა მოჰყვა, რადგან მათი არაერთი უკანონო ქმედება გაიშიფრა, – აღნიშნა ადვოკატმა.

განსხვავებულად აღიქვეს დეკანოზის ჩვენება საგამოძიებო უწყებაში. ციანიდის საქმის ერთ-ერთ პროკურორ ზვიად გუბელაძის თქმით, მამაო არავის მოუტაცებია. გატაცების შესახებ ვერსია დეკანოზმა ადვოკატებთან ერთად მოიფიქრა და ამით სიტუაციის დრამატიზება სურდა.

ზვიად გუბელაძემ ჟურნალისტებთან კომენტარი რამდენჯერმე გააკეთა. ერთ-ერთი კომენტარი მაშინ გააკეთა, როცა დეკანოზის დაკითხვა მიმდინარეობდა.

საქმის პროკურორის თქმით, დეკანოზ გიორგი მამალაძის დაკითხვის დასრულებამდეც შეიძლება იმის თქმა, რომ მამალაძემ გამოძიების ეტაპზე მიცემული ჩვენება კიდევ შეცვალა.

– გამოძიების ეტაპზე ის ამბობდა, რომ შორენა თეთრუაშვილმა სექტემბრის ბოლოს სთხოვა გველის შხამი, 4 აგვისტოს უკვე განაცხადა, რომ ზაფხული იყო. ცვლილება მას შემდეგ მოხდა, რაც წარვადგინეთ მტკიცებულებები, რომ ის ზაფხულიდან ინტერესდებოდა გველის შხამით.

გარდა ამისა, მან შეცვალა ჩვენება, როდესაც აცხადებდა, რომ კლინიკის წართმევას ცდილობდა შორენა თეთრუაშვილი და ქონებრივ საკითხებთან დაკავშირებით დაპირისპირება ჰქონდა.

4 აგვისტოს ისე გამოიყვანა მან თავის ჩვენებაში, თითქოს შორენა თეთრუაშვილთან შეხმატკბილებული ურთიერთობა ჰქონდა. გარდა ამისა, რაც შეეხება დაკავებას, უკვე დაიკითხნენ ის გამომძიებლები, რომლებმაც ოქმი შეადგინეს და რომელზეც თავად მამალაძეს აქვს მოწერილი ხელი, რომ იქ ასახული გარემოებები სიმართლეს შეესაბამება.

ამ განცხადებების გაკეთება კი დეკანოზმა გიორგი მამალაძემ მხოლოდ ადვოკატებთან კონსულტაციების შემდეგ დაიწყო, რათა დრამატიზება მოეხდინა, – აღნიშნა პროკურორმა.

პროკურორის განცხადებას არ ეთანხმებიან ადვოკატები და იმედი აქვთ, რომ დეკანოზის სიმართლეს დაამტკიცებენ.

# საქართველოს პროკურატურა პოლონეთს სააკაშვილზე ინფორმაციას სთხოვს

## რატომ ჩავიდა ყოფილი პრეზიდენტი ვარშავაში

შორენა მარსაგიშვილი

**მოქალაქეობაწართმეული მიხეილ სააკაშვილი, რომლის ექსტრადირებასაც საქართველოში უკვე ელიან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან პოლონეთში ჩავიდა.**



მიხეილ სააკაშვილი პოლონეთის დედაქალაქს 4 აგვისტოს, დილით ესტუმრა. ვერც საქართველოს და ვერ უკრაინის ხელისუფლების წარმომადგენლებმა ვერ დაადგინეს, თუ რა დოკუმენტებით მოგზაურობს პრეზიდენტყოფილი.

ცნობილი ის არის, რომ სააკაშვილი პოლონეთის დედაქალაქში ვარშავის ამბოხების 73-ე წლისთავისადმი მიძღვნილ ცერემონიას დაესწრო.

მიხეილ სააკაშვილმა სიტყვითაც გამოვიდა და ძირითადად საქართველო-პოლონეთის თანამშრომლობასა და უკრაინის თემაზე ილაპარაკა.

სააკაშვილის დოკუმენტებით დაინტერესებულმა საქართველოს მთავარმა პროკურატურამ პოლონეთში უსტარი აფრინა.

– მიხეილ სააკაშვილის პოლონეთის რესპუბლიკაში ვიზიტთან დაკავშირებით მედიასაშუალებებით გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ მიმართა პოლონეთის რესპუბლიკის კომპეტენტურ ორგანოებს და დაწყებულია კანონით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი პროცედურა, – აცხადებენ პროკურატურაში.

* * *

ვარშავაში ჩასვლამდე ნაპრეზიდენტალმა ვაშინგტონ პოსტში წერილი გამოაქვეყნა, სადაც აცხადებს, რომ ის უკრაინისთვის ბრძოლას გააგრძელებს.

სტატიაში ის ამბობს, რომ ოდესის გუბერნატორის პოსტზე დანიშვნის მიზანი კორუფციული რეგიონის გასუფთავება იყო.

– თუმცა, მოგვიანებით მე და ჩემი გუნდი პრობლემების წინაშე დავდექით. უკრაინის პრეზიდენტმა არა მხოლოდ შეწყვიტა ჩვენი დახმარება, არამედ ის სწორედ იმ ინტერესებს ემხრობოდა, რომლის წინააღმდეგაც ჩვენ, წესით, უნდა გვებრძოლა, – წერს სააკაშვილი.

მისი თქმით, ძალიან მალე ცხადი გახდა, რომ პოროშენკოს მიერ მათი მიპატიჟება საზოგადოებასთან ურთიერთობის კამპანიის ნაწილი იყო.

– ეს გააკეთა იმისთვის, რომ საკუთარი თავი მოსახლეობის წინაშე რეფორმატორად წარმოეჩინა და საერთაშორისო დონორებისგან ფული მოეზიდა, – ნათქვამია წერილში.

სააკაშვილი მოქალაქეობის წართმევაზეც საუბრობს. ის არაკანონიერს უწოდებს მისთვის უკრაინის მოქალაქეობის ჩამორთმევას.

– ეს საქართველოში ჩემ წინააღმდეგ დაწყებული საქმის საფუძველზე მოხდა – საქმის, რომელიც მილიარდერისა და რუსეთთან ახლო ბიზნესურთიერთობების მქონე ბიძინა ივანიშვილის მიერ კონტროლირებადმა მთავრობამ აღძრა, – ამბობს ექსპრეზიდენტი.

სააკაშვილი პირობას დებს, რომ უკრაინის პროდასავლური დემოკრატიული ძალების გაერთიანებას განაგრძობს და ძალიან მალე საკანონმდებლო რეფორმების ჩატარების ინიციატივითაც გამოვა.



ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# მამუკა კაციტაძე: „ხელისუფლება ოპოზიციას აიგნორებდა“

ნათია ხურცილავა

**„ახალი მემარჯვენეების“ თავმჯდომარე მამუკა კაციტაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში სტრასბურში 6 სექტემბერს ვენეციის კომისიის მოდერატორობით ჩანიშნულ მოლაპარაკებებზე საუბრობს, სადაც ხელისუფლებამ და ოპოზიციამ საკონსტიტუციო ცვლილებებზე შეთანხმებას უნდა მიაღწიონ.**

***— ბატონო მამუკა, 6 სექტემბერს ვენეციის კომისიის მოდერატორობით საკონსტიტუციო ცვლილებებზე ოპოზიცია და ხელისუფლება შეხვედრას გამართავენ. ოპოზიცია რა საკითხს დააყენებს, რაზე იქნება მთავარი აქცენტი, თუ შეთანხმდით?***

— არასაპარლამენტო ოპოზიციის საკოორდინაციო საბჭო, მთლიანად ოპოზიცია, თვეებია ვითხოვთ, ხელისუფლება მოლაპარაკების მაგიდასთან დაჯდეს. 23 ივნისს, როდესაც პარლამენტმა მეორე მოსმენით კენჭი უყარა საკონსტიტუციო ცვლილებებს, სამართლებრივი თვალსაზრისით პროცესი დასრულდა, რადგანაც მესამე მოსმენა სარედაქციო ცვლილებებს ითვალისწინებს. მიუხედავად ამისა, პოლიტიკური პროცესი გაგრძელდა.

ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ 6 სექტემბერს სტრასბურში შეხვედრა გაიმართება. დღის წესრიგი ღიაა, მოლაპარაკება იქნება ყველა საკითხზე. არ იქნება არცერთი ტაბუდადებული საკითხი. მხარეების მხრიდან არ იქნება პირობები წამოყენებული. ოპოზიცია წარადგენს იმ პაკეტს, რომელიც თებერვალ-მარტშია შეთანხმებული და რომელიც 4 პუნქტისგან შედგება: პირველი: საარჩევნო სისტემა და მანდატების გადანაწილების წესი; მეორე: ბარიერი; მესამე: საარჩევნო ბლოკების არგაუქმების საკითხი და პრეზიდენტის პირდაპირი არჩევის წესი. მე ვფიქრობ, რომ ეს საკითხები ოპოზიციის მხრიდან უნდა შენარჩუნდეს, როგორც სამსჯელო საკითხები მოლაპარაკების მაგიდაზე.

მეტიც, თუ ხელისუფლებას ან ოპოზიციას ექნება დამატებითი საკითხები განსახილველი, არც ეს უნდა იყოს დახურული. ოპოზიციისთვის შეიძლება ამ 4 საკითხიდან რომელიღაცა პრიორიტეტული იყოს, მაგრამ რომელიმე საკითხზე ამიტომ უარის თქმა, არა მგონია, მართებული იყოს. ჩემი პოზიციაა, რომ ვიმსჯელოთ ყველა საკითხზე და, რაზეც იქნება შეთანხმება მიღწეული, მერე გავაკეთოთ შეფასებები, ან ეს იქნება მიღწეული შეთანხმება ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის, ან ვიტყვით, რომ ვერ იქნა შეთანხმება მიღწეული. ხელისუფლებისთვის ნამდვილად არ იქნება მომგებიანი, რომ სტრასბურში ჩასული სრულიად პოლიტიკური სპექტრი ნულოვანი რეზულტატით დაბრუნდეს. ეს ძალიან ცუდი იქნება.

***— ვენეციის კომისიამ ხელისუფლება მოლაპარაკების მაგიდას დაუბრუნა?***

— ასე გამოდის. ხელისუფლებამ საკონსტიტუციო პროცესი ორი მოსმენით დაასრულა. ასე რომ, საერთოდ არ გვქონია კონტაქტი, ხელისუფლება ოპოზიციას აიგნორებდა. გვეძახდნენ ერთკაციანი პარტიები, ურეიტინგოები და ა.შ. ახლა რიტორიკა შეცვლილია, ხელისუფლება მზად არის ყველა საკითხზე სასაუბროდ. მიუხედავად სამართლებრივი პროცესის დასრულებისა, პოლიტიკური პროცესი გაგრძელდა და სწორედ ამის დამსახურებაა ხელისუფლების რიტორიკის ცვლილება.

***— ეს ოპოზიციის დამსახურებაა თუ ვენეციის კომისიის?***

— ასეთი თავხედი ვერ ვიქნები და ვერ ვიტყვი, რომ ეს მხოლოდ ოპოზიციის დამსახურებაა. ვენეციის კომისია ყველა ეტაპზე, ხელისუფლებასთან შეხვედრის დროს თუ ოპოზიციასთან დიალოგისას, ყოველთვის აფიქსირებდა, რომ მისი პოზიცია უცვლელია, რომ პოლიტიკურ სპექტრს შორის კონსენსუსი არის აუცილებელი და ამ პროცესში აქვს რეკომენდაციები. ამდენად, იხსნება ის ველი, რომელიც აქამდე დახურული იყო. ვნახოთ, რა იქნება შედეგი.

***— ექსპერტები ამბობენ, რომ უპრიანია ოპოზიციამ აქცენტი საარჩევნო სისტემაზე, მისი ამოქმედების ვადებზე გააკეთოს, რადგან ცარიელი ფურცლიდან პროცესის დაწყება შეუძლებელია. არ ეთანხმებით?***

— წარმოიდგინეთ, მხოლოდ ერთი საკითხი დგას: საარჩევნო სისტემა, მაჟორიტარული არჩევნების გაუქმება და ამ საკითხზე ხელისუფლებისგან უარყოფითი პასუხი მივიღეთ, ვერ შედგა შეთანხმება, მერე რას ვაკეთებთ? ეს მოცემულობა ხომ გვაქვს დღესაც?! ნულოვანი რეზულტატით დავასრულოთ პროცესი?! ამიტომ ვამბობ, რომ ეს არ იქნება სწორი, ყველა საკითხზე უნდა ვიმსჯელოთ და ვნახოთ, რაზე იქნება შეთანხმება მიღწეული და რაზე — ვერა. პროცესის დასრულების შემდეგ მიღებულ შედეგზე გავაკეთებთ შეფასებას, არის ეს ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის ღირებული შეთანხმება თუ ეს არის საკენკი.



***— თუ არის შეთანხმება ოპოზიციას შორის, რას დათმობთ და რას ვერ დათმობთ?***

— როდესაც წინ არის მოლაპარაკება, მსჯელობა იმაზე, რომ მე ამას არ ვთმობ, ეს იმ წუთში მოინათლება, როგორც ულტიმატუმი. იგივე რომ თქვას ხელისუფლებამ, ოპოზიციაც იტყვის, რომ ეს არის ულტიმატუმი.

არის ერთი მნიშვნელოავნი საკითხი, რაზეც პარტიები საუბრობენ, საკონსტიტუციო კომისიაში მსჯელობა იყო მაჟორიტარული არჩევნების გაუქმებაზე და ეს, როგორც მოცემულობა, ისე მივიღოთ, მაგრამ ეს მოცემულობა დღეს შეცვლილია, რადგან ორი მოსმენით უკვე კენჭნაყარია საკონსტიტუციო ცვლილებებისთვის. ჩვენ იმისთვის გვინდა მოლაპარაკება, რომ ორი მოსმენით მიღებული კანონპროექტი უკან უნდა დაბრუნდეს იმ შეთანხმების საფუძველზე, რომელიც სტრასბურში იქნება მიღწეული.

***— უკვე ხმები გამოდის, რომ რომელიღაც პარტიები შეიძლება 3% ბარიერს დათანხმდნენ და ა.შ.***

— რაღაც გარიგება, აუქციონი და ეს შეფასებები მათ სინდისზე იყოს, ვინც ამაზე ლაპარაკობს. ის უკვე ამ რიტორიკით არღვევს ოპოზიციურ ერთობას, რამაც მოიყვანა პროცესი ამ წერტილამდე. ოპოზიციის ერთი ნაწილი ვიშვიშებს, რომ უკომპრომისოა, მეორე ნაწილი დისკუსიაშია ხელისუფლებასთან და გარკვეულ შედეგს იღებს, ამ შედეგით კი მთელი ოპოზიცია სარგებლობს. მახსენდება 2011 წელი, საარჩევნო სიების დადგენის პროცესი. დღეს ამომრჩეველთა სიები პრობლემაა, რომელსაც თავის დროზე ვარდების რევოლუცია მოჰყვა? პრობლემაა მერებისა და გამგებლების პირდაპირ არჩევა? კვალიფიციური პარტიის დაფინანსება? ამ ყველაფერს თავის დროზე საკენკი დაარქვეს. თუ ბლოკების შენარჩუნება არ არის მთავარი, მაშინ ერთ ბლოკში ნუ ერთიანდებიან.

რაც შეეხება ბარიერს, ყველა პარტია თანახმაა, რომ საარჩევნო ბარიერმა დაიწიოს. ბლოკები არ გაუქმდეს, ხმები სამართლიანად გადანაწილდეს, მაჟორიტარული არჩევნები გაუქმდეს და პრეზიდენტი პირდაპირი წესით აირჩეს. თუ ყველა თანახმა ვართ ამ საკითხებზე, მაშინ ერთი რატომ ამოვაგდოთ, მაგალითად, პრეზიდენტის არჩევის წესი? ეს ხომ მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრს ემსგავსება. მე აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი 4 მოთხოვნიდან ყველა ვერ დაკმაყოფილდება, მაგრამ, რა ვქნათ, რომელზე ვთქვათ უარი?! ეს უკვე პოლიტიკური გამოუცდელობაც კი აღარ არის. ეს არის პროცესის გაწირვა. ხომ შეიძლება, ვიღაცის ინტერესში იყო, მოლაპარაკება არ მოხდეს და ნულოვანი კონსენსუსით დასრულდეს პროცესი, ხელისუფლების მარგინალიზაციისკენ იყოს ეს ყველაფერი მიმართული. მერე რას შვრება ოპოზიცია? მივდივართ სახლში, არა სხვაგან, რუსთაველზე, არამედ სახლში. არის ოპოზიციაში იმის მზაობა, რომ ბრძოლის უფრო მწვავე ფორმებზე გადავიდეთ?! რაღაც ვერ ვამჩნევ ამას ოპოზიციას ვერც სურვილში და ვერც რესურსში.

***— რას დათმობს ხელისუფლება, რა მზაობას გრძნობთ თქვენ? თუ შეიძლება, ეს იყოს მოლაპარაკება მოლაპარაკებისთვის?***

— ერთი, რაც დანამდვილებით ვიცი, არის ის, რომ ხელისუფლება გვეუბნებოდა, არავითარი მოლაპარაკება, საკმარისად ვილაპარაკეთ. ახლა რიტორიკა შეცვლილია და გვეუბნება: ყველა საკითხზე ვართ მზად სამსჯელოდ. ვიცი, რომ ეს არ ნიშნავს შეთანხმებას, მაგრამ, ისიც ვიცი, რომ ხელისუფლება გადაიხდის პოლიტიკურ ფასს და სწორედ 6 სექტემბერია ამ ფასის გადახდის დღე. არ ეყოფა ერთი დღე, მივცემთ მეორე დღეს. მთავარია, რომ პოლიტიკური პროცესი არ მომკვდარა.

# „ოპოზიციის ერთადერთი შანსი გაერთიანებაა“

## მამუკა გამყრელიძე: „მერობის საერთო კანდიდატი პრაიმერით უნდა გამოვავლინოთ“

ნონა ცაბაძე

ახალი ოპოზიციური გაერთიანება პროდასავლურ ოპოზიციურ პოლიტიკურ ძალებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და საზოგადოების აქტიურ წევრებს გაერთიანებისა და პრაიმერის გზით მერობის კანდიდატის გამოვლენისაკენ მოუწოდებს.

ეს გაერთიანება ოთხმა ოპოზიციურმა პარტიამ — ახალმა საქართველომ, ახალმა ერთობამ საქართველოსთვის, ევროპელმა დემოკრატებმა და პოლიტიკურმა გაერთიანება სამოქალაქო ალიანსმა თავისუფლებისთვის დააარსა.

„ახალი თაობა“ აღნიშნულთან დაკავშირებით მამუკა გამყრელიძეს ესაუბრა.

***— ბატონო მამუკა, ყველა დასავლური ორიენტაციის ოპოზიციურ პარტიას გაერთიანებისკენ მოუწოდებთ. რამდენად მიიღებენ ეს პარტიები ამ შეთავაზებას?***

— არ მესმის, რატომ არ უნდა მიიღონ. გავერთიანდეთ და პრაიმერის სახით გამოვავლინოთ ერთიანი და ძლიერი კანდიდატი.



***— თქვენ ეს შეთავაზება ალეკო ელისაშვილსაც გაუგზავნეთ, თუმცა მან ჩვენთან საუბარში განაცხადა, რომ ვაშაძესთან არაფერი ესაქმება და ის ამ შეთავაზებას არ იღებს. ამაზე რას იტყვით?***

— ეს მისი გადასაწყვეტია, თუმცა ასე გაცილებით მეტი შანსი ექნებოდა. ჩვენ ყველა მათგანთან მივალთ და ვკითხავთ, რატომ არ იღებენ ამ შეთავაზებას. ნაციონალებმა აქეთ დაგვდეს ბრალი, ალეკო ელისაშვილის მხარდასაჭერად ერთიანდებითო. ელისაშვილი, ხომ ხედავთ, უარს აცხადებს ამ შეთავაზებაზე.

***— ბატონო მამუკა, თქვენ ნაციონალურ მოძრაობასაც მოუწოდებთ, რომ მიიღონ ეს შეთავაზება. თუმცა ოპოზიციის დიდი ნაწილი ყოველთვის თავს იკავებს, შეუერთდეს ისეთ გაერთიანებას, სადაც ნაცმოძრაობა ფიგურირებს. ეს არ დაგაზარალებთ?***

— ერთხელ და სამუდამოდ უნდა დაიმსხვრეს ასეთი სტერეოტიპები და ხედვები. გაიმარჯვოს იმან, ვინც ღირსეულია, ვისაც ხალხის მხარდაჭერა ექნება. ნაციონალები რას იზამენ, ეს ჯერ არ ვიცით. დღეს ამ შეხვედრას აკვირდებოდნენ მათი წარმომადგენლები. თუმცა, რამდენად შემოგვიერთდებიან, ეს ჩვენთვის უცნობია.

***— რისი იმედი გაქვთ, რას მიიღებთ ამ გაერთიანებით? გაქვთ გამარჯვების იმედი?***

— რა თქმა უნდა, ეს გაერთიანება გამარჯვებას მოუტანს ოპოზიციის ერთიან კანდიდატს. გადახედეთ კვლევის შედეგებს. ყველაზე დიდი, კალაძეს 30%-იანი მხარდაჭერა ჰქონდეს. დანარჩენი პროცენტები ოპოზიციაშია. თუ ჩვენ გავერთიანდებით, მაშინ 50-ით 30-ს დავამარცხებთ სახელისუფლებო კანდიდატს. მე ვერ ვხედავ ვერცერთ საწინააღმდეგო არგუმენტს, რატომ არ უნდა გავერთიანდეთ! ზოგი გვეუბნება, რა საქმე გვაქვს თქვენთან, ურეიტინგოები ხართო. მით უმეტს, შენ თუ ასე პოპულარული და ძლიერი ხარ, ხომ გაიმარჯვებ პრაიმერში?! თან მიიღებ ლეგიტიმაციას ხალხისაგან, რომ მარტო კი არ ხარ, არამედ შენ ხარ ყველა ოპოზიციური პარტიის რჩეული! აი, ამაზეა ლაპარაკი.

***— ამბობენ, რომ, კვლევების თანახმად, ლიდერობს კალაძე, ხოლო მეორე ადგილზე ალეკო ელისაშვილია. თუმცა ის უარს აცხადებს ამ გაერთიანებაზე. აქვს შანსი დამოუკიდებლად?***

— მე ძალიან გამიხარდება, თუ ის მოვა, ასევე ელენე ხოშტარიაც თუ მოვა. მოვა არა! ჩვენ მივალთ. ჩვენ ვაპირებთ ყველასთან მისვლას. ჩვენ ამ მოძრაობის ძალიან აგრესიულად დაწყებას ვაპირებთ, რომ მივიდეთ ყველა კანდიდატთან და ვკითხოთ, რატომ არ გინდათ? რა მიზეზით არ გინდათ? რა არის იმის მიზეზი, რომ თქვენ არ გინდათ, გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატი გახდეთ?! რატომ არ გინდათ, ყველას ხმა თქვენ მიიღოთ და დაამარცხოთ ხელისუფლება? რა, არ გინდათ ხელისუფლების დამარცხება?! ხომ კარგად იციან, რომ მარტო ვერაფერს გახდებიან!

***— ვინც არ მიიღებს ამ შეთავაზებას, ის ხელისუფლების თამაშს თამაშობს?***

— შემიძლია, ღიად და მკვეთრად განვაცხადო, ვინც ამ გაერთიანების წინააღმდეგია, ის არის ხელისუფლების წისქვილზე წყლის დამსხმელი. ეს ძალიან მარტივია.



***— ძალიან ბევრი ამბიციებს ვერ თმობს, ყველას უნდა, თავისი კანდიდატი ჰყავდესო. დათანხმდებიან პრაიმერს?***

— პრაიმერის საწინააღმდეგო ვის რა უნდა ჰქონდეს? პრაიმერი ხომ ყველაზე დემოკრატიული პრინციპია კანდიდატების არჩევისას. სანამ ჩვენ კანდიდატს წარვადგენთ, კანდიდატებს შორის მოხდება გამოვლენა ყველაზე ძლიერის, ყველაზე ელექტორალურის, საინტერესოსი. ამის საწინააღმდეგო რა შეიძლება იყოს? ჩვენ გადაწყვეტილებებს კაბინეტში არ მივიღებთ, ჩვენ ვაპირებთ გადაწყვეტილების მიღებას გახსნილად, ხალხში. გარდა ამისა, აქ საუბარი არ არის მხოლოდ მერობის კანდიდატზე. არავითარ შემთხვევაში!

***— კიდევ რას გეგმავთ?***

— ჩვენ ვლაპარაკობთ სიებზე, მაჟორიტარებზე. ჩვენ გვინდა, მოხდეს არჩევნების სრულ-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# დატოვებს თუ არა დავით სერგეენკო პოსტს

## ოპოზიციამ ჯანდაცვის სამინისტროსთან მავთულხლართები გაავლო

შორენა მარსაგიშვილი

**პოლიტიკოსებისა და საზოგადოების ნაწილი ჯანდაცვის მინისტრ დავით სერგეენკოს გადადგომას ითხოვს. ქვეყნის მთავარი ექიმი ოპოზიციის სამიზნე ოკუპაციის თემაზე გაკეთებული განცხადების გამო გახდა.**

3 აგვისტოს მინისტრმა სერგეენკომ განაცხადა, რომ მცოცავი ოკუპაცია სწორი ტერმინი არ არის.

მინისტრის თქმითვე, სასაზღვრო ზოლთან მიმდინარე მოვლენები იმ ფარგლების დადგენაა, რომელსაც ლეგიტიმაცია 2008 წელს გაუკეთა ხელისუფლებამ.

– ძალიან ხშირად, სამწუხაროდ, ამ ქმედებების აღწერისას გამოიყენება ტერმინი მცოცავი ოკუპაცია, რომელიც თავისი საფუძვლით არ არის სწორი. ეს არანაირი მცოცავი და ეტაპობრივი არ არის. ეს არის, სამწუხაროდ, იმ ფარგლების, იმ საზღვრების დადგენა, რომელსაც 2008 წელს, ძალიან სამწუხაროდ, ლეგიტიმაცია გაუკეთა მაშინდელმა მთავრობამ. არანაირი ახალ საზღვრებზე გადმოწევა არ ხდება, – განაცხადა დავით სერგეენკომ ჟურნალისტებთან საუბრისას.

ამ განცხადებას, როგორც მოსალოდნელი იყო, საყოველთაო აღშფოთება მოჰყვა. საზოგადოებისა და პოლიტიკოსების ნაწილი მიიჩნევს, რომ ამ განცხადების შემდეგ მინისტრმა თანამდებობა უნდა დატოვოს.

ჯანდაცვის მინისტრის მიერ გაკეთებული განცხადებას მცოცავი ოკუპაციის არარსებობის შესახებ სტრატეგიული ანალიზის ცენტრის დამფუძნებელი ნოდარ ხარშილაძე უარყოფითად აფასებს.

ხარშილაძის თქმით, სერგეენკოს განცხადება მომავალში საქართველოს შესაძლოა ცუდად დახვდეს წინ.

– რუსები ამ რუკებს ასწორებენ საბჭოთა კავშირის დროიდან გამომდინარე და მცოცავი იმიტომ არის ოკუპაცია, რომ რასაც ვუყურებთ, ყოველ სამ თვეში ერთხელ გადმოსწევენ ხოლმე საზღვარს. ამის არაღიარება და იმის თქმა, რომ ჩვენი ბრალია, ძალიან არასწორია და შეიძლება წინ დაგვხვდეს ძალიან ცუდად, იმიტომ რომ მთავრობის წევრის განცხადებაა, – ამბობს სტრატეგიული კვლევების ცენტრის დამფუძნებელი.

ყოფილი სახალხო დამცველი, „ევროპული საქართველოს" ერთ-ერთი ლიდერი გიორგი ტუღუში სერგეენკოს განცხადებას შეგნებულ მავნებლობად მიიჩნევს.

– ეს არის, როგორც მინიმუმ, შეგნებული მავნებლობა ხელისუფლების მხრიდან საკუთარი ხალხისა და ქვეყნის წინააღმდეგ, როგორ უნდა მოვახდინოთ ჩვენ საერთაშორისო საზოგადოების კონსოლიდირება და ასევე მათი მხრიდან ზეწოლის განხორციელება რუსეთზე, როდესაც საკუთარი ხელისუფლება მსგავსი მავნებლობით არის დაკავებული და საუბრობს იმაზე, რომ თურმე ოკუპაცია არ მომხდარა და რასაც ვხედავთ, ეს არის ნორმალური პროცესი, – აღნიშნა ჟურნალისტებთან საუბარში ტუღუშმა.

საქართველოს საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი გრიგოლ ვაშაძე სტრატეგიული კვლევების ცენტრის დამფუძნებლის მოსაზრებას იზიარებს. ის ვარაუდობს, რომ საერთაშორისო მოლაპარაკებებზე შესაძლოა ჯანდაცვის მინისტრის განცხადებები აგვიფრიალონ.

ნამინისტრალი არ გამორიცხავს, რომ სერგეენკოს პოზიციას მთელი მთავრობა იზიარებდეს.

მისი აზრით, ცუდი არ იქნებოდა, თუ მთავრობის ზოგიერთ წევრს ლაპარაკს საერთოდ აუკრძალავდნენ.

– ჯანდაცვის მინისტრი ბატონი სერგეენკო, ეტყობა, დაიღალა ჯანდაცვის სფეროში უზარმაზარ მიღწევებზე საუბრით და თავისი უზენაესი ყურადღება რატომღაც ოკუპირებულ ტერიტორიებს მიაპყრო.



მისი ერთი ფრაზიდან, უგუნური, უმეცარი და მავნებლური ფრაზიდან, რომელიც ზიანს აყენებს საქართველოს საგარეო პოლიტიკურ ინტერესებს, ჩვენ გავიგეთ, ჯერ ერთი, რომ რუსეთი არ ახორციელებს მცოცავ ოკუპაციას, მეორე ის, რომ თურმე ე.წ. ცხინვალის რეგიონს, ე.წ. სამხრეთ ოსეთს აქვს საზღვრები და მესამე ის, რომ 2008 წელს ომი დაიწყო საქართველომ და კერძოდ ნაციონალურმა მოძრაობამ. არ ვიცი, როგორ ისჯებიან პატივცემული მინისტრები ამ ხელისუფლების დროს, მაგრამ, თუ არ დასჯიან, ერთი თხოვნა გვაქვს, როგორც რიგით მოქალაქეებს, ლაპარაკი მაინც აუკრძალონ, – ამბობს გრიგოლ ვაშაძე.

სერგეენკოს განცხადებაზე გამოხატულმა აღშფოთებამ ხელისუფლების ნაწილი აღაშფოთა, ამასთან, ბევრმა მათგანმა კომენტარის გაკეთება არ ისურვა, რადგანაც ჯანდაცვის მინისტრის განცხადების ბოლომდე „გაპრავება" შეუძლებელი იყო.

ამ მხრივ „ოცნებაში" ყველაზე გაბედული პარლამენტის ვიცესპიკერი გია ვოლსკი გამოდგა.

ის მწუხარებაშია ჩავარდნილი იმის გამო, რომ ეს თემა ნაციონალურმა მოძრაობამ სასპეკულაციოდ აქცია.

– სამწუხაროა, რომ ეს თემა სასპეკულაციოდ გახადა ნაციონალურმა მოძრაობამ, მცოცავია ეს ოკუპაცია თუ არის დადგენა იმ საზღვრების, რომელიც 2007 წლის 10 მაისის ბრძანებულებით დაადგინა პრეზიდენტმა სააკაშვილმა. რასაკვირველია, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური საზღვრები არსებობდა და ამ საზღვრების არსებობის თაობაზე არის ძალიან მკაფიოდ ჩამოყალიბებული მითითება ამ აღნიშნულ ბრძანებულებაში, – აცხადებს გიორგი ვოლსკი.

ვოლსკის შეგონებანი ნაციონალებმა არ შეისმინეს და ჯანდაცვის სამინისტროსთან მავთულხლართები გაავლეს. ისინი მინისტრის გადადგომას ითხოვენ.

– არ შეიძლება, საქართველოს მთავრობის წევრმა გააკეთოს განცხადება, რომელიც ერთი ერთზე ემთხვევა ოკუპანტის ინტერესებს. ასეთ განცხადებებს აკეთებენ რუსეთი დუმის წევრები. თუ შერჩენია ელემენტარული სინდისი, ამ ადამიანმა თანამდებობა უნდა დატოვოს, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ნიკა რურუამ.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა „ოცნების" ხელისუფლება ოკუპაციისა და ოკუპანტების მიმართ უცნაურ დამოკიდებულებას ავლენს.

დავით სერგეენკოს განცხადებამდე ამ მხრივ უდავოდ პაატა ზაქარეიშვილი ლიდერობდა. მინისტრად ყოფნისას იმდენი უცნაური რამე თქვა, რამდენიმე ქვეყნის მთავრობას ეყოფა ათწლეულების განმავლობაში.

– პუტინი მტერი? რას ნიშნავს? პუტინი ადამიანია, როგორ შეიძლება, ადამიანი იყოს მტერი? ვისი მტერი უნდა იყოს? ადამიანი ვერ იქნება სახელმწიფოს მტერი, გინდ პუტინი იყოს და ვინც გინდა, ის იყოს. სახელმწიფოს მტერი შეიძლება იყოს სახელმწიფო, იმდენად აბსურდულია კითხვა, – განაცხადა რამდენიმე წლის წინ ზაქარეიშვილმა.

ჟურნალისტის კითხვაზე, ანუ მოყვარეა პუტინი? ზაქარეიშვილმა უპასუხა:

– პუტინი არავინ არ არის, პუტინი არის ადამიანი. რუსეთმა 2008 წელს საქართველოს წინააღმდეგ განახორციელა აგრესია. ეს იყო მტრული განზრახვით, მოახდინა ამ ტერიტორიის ოკუპაცია. არსებობს კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ და საქართველოს არ აქვს დიპლომატიური ურთიერთობა რუსეთთან.

* * *

დავით სერგეენკოს სკანდალს საპატრიარქოს სკანდალი დაემატა. ამ დღეებში ცნობილი გახდა, რომ საქართველოს რუსეთის დუმის დეპუტატი ესტუმრა. საუბარია პუტინის თანაპარტიელ არტიომ კავენიოვზე. ის საქართველოში რუს სასულიერო პირებთან ერთად ჩამოვიდა და საქართველოს პატრიარქს ანგელოზის დღე მიულოცა.

აღსანიშნავია, რომ დუმის დეპუტატმა თავისი დაბადების დღეც საქართველოში გადაიხადა. კავენიოვი 3 აგვისტოს ყოფილა დაბადებული.

2 აგვისტოს კავენიოვი სვეტიცხოველში იმყოფებოდა, სადაც ილია II-მ ლოცვა აღავლინა, საღამოს კი საპატრიარქოშიც მიიწვიეს და პატრიარქს საჩუქარიც გადასცა.

სკანდალის აგორების შემდეგ საპატრიარქომ განმარტებები გააკეთა. მისი წარმომადგენლები ნეტგაზეთთან საუბარში განუმარტავენ, რომ რუსეთის სათათბიროს დეპუტატი არტიომ კავენოვი საპატრიარქოში იმყოფებოდა რუსეთის სამღვდელოებასთან ერთად და მათ არ იცოდნენ, რომ იგი რუსეთის დუმის დეპუტატი იყო.

საპატრიარქოს საგარეო საქმეთა განყოფილების უფროსის მოადგილის, დეკანოზ კახაბერ გოგოტიშვილის განმარტებით, რუსეთის ეკლესიის სამღვდელოების დელეგაცია საერო პირებთან ერთად ილია მეორის ანგელოზის დღის აღსანიშნავად გამართულ წვეულებაზე იმყოფებოდა.

დეკანოზის თქმით, საპატრიარქოს ეზოში დაახლოებით 200 ადამიანი იმყოფებოდა და მათ შორის იყო დელეგაცია რუსეთიდან.

– ჩვენ თანამდებობებს, სახელებსა და გვარებს არ ვეკითხებით მომლოცველებს, რომლებიც საქართველოში მოდიან. არანაირი ოფიციალური ცალკე შეხვედრა, არც მოწვევა და არც მოთხოვნა არ ყოფილა, – განაცხადა დეკანოზმა კახაბერ გოგოტიშვილმა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კავენიოვი არც ჩვენი პოლიტიკოსებისთვის არის უცხო კაცი. რამდენიმე კვირის წინ ის მოსკოვში მყოფ პატრიოტთა ალიანსის წევრებს შეხვდა. ალიანსის წევრები დღემდე არ აკონკრეტებენ, რაზე ესაუბრნენ ისინი დუმის დეპუტატს.

# ავღანეთში ერთი ქართველი სამხედრო დაიღუპა, სამი კი დაშავდა



ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში, ბაგრამის საავიაციო ბაზის მიმდებარე ტერიტორიაზე ერთობლივი მოტორიზებული პატრულირებისას თავდასხმა განხორციელდა. შედეგად, „მტკიცე მხარდაჭერის" მისიაში მონაწილე საქართველოს შეიარაღებული ძალების II ქვეითი ბრიგადის 23-ე ქვეითი ბატალიონის უმცროსი სერჟანტი მდინარი საბას ძე ბებიაშვილი გარდაიცვალა.

უმცროსი სერჟანტი ბებიაშვილი საქართველოს შეიარაღებულ ძალებში 2010 წლიდან მსახურობდა. ის ავღანეთში უსაფრთხოების ხელშეწყობის საერთაშორისო ძალების მისიაში ორჯერ – 2012 და 2014 წლებში მონაწილეობდა. მიღებული აქვს მედლები „სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობისთვის".

მომხდარი თავდასხმისას ასევე დაშავდა „მტკიცე მხარდაჭერის" მისიაში მონაწილე საქართველოს შეიარაღებული ძალების სამი სამხედრო მოსამსახურე. მათგან ერთის, კაპიტან მიხეილ ამირანის ძე გვირჯიშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურად მძიმეა, დანარჩენი ორის – უფროს ლეიტენანტ გიგა დავითის ძე ხახუტაშვილისა და კაპრალ გეგა ელვარდის ძე ხარშილაძის – დამაკმაყოფილებელი. სამივე მათგანი ბაგრამის საავიაციო ბაზის ჰოსპიტალშია მოთავსებული და შესაბამისი სამედიცინო მკურნალობა უტარდებათ.

მდინარი ბებიაშვილს საქართველოში 5 აგვისტოს ჩამოასვენებენ.

ინტერპრესნიუსი

# „ოპოზიციის ერთადერთი შანსი გაერთიანებაა"

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ფასოვანი პრაიმერი, ყველა ნიშაში, როგორც სიებში, ასევე მაჟორიტარებში, მერობის კანდიდატებში. ვთავაზობთ ამის სხვადასხვა მექანიზმს და ამ მექანიზმებით გვინდა, რომ ამაში ჩაერთონ როგორც სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლები, ასევე ცსკ-ო. აუცილებლად ცსკ-ოსთან ერთად ვაპირებთ ამ საკითხის გადაწყვეტას. მე ამ წუთას არგუმენტირებულ წინააღმდეგობას ვერ ვხედავ. რასაც ეს პარტიები ამბობენ, აროგანტულია.

***– რას ამბობენ?***

– თქვენ ჯერ არაფერს წარმოადგენთ და რატომ უნდა გაგიერთიანდეთო. თქვენ კი არ უნდა გაგვიერთიანდეთ, არამედ ყველა ერთად უნდა გავერთიანდეთ. თუ ასე ძალიან გინდათ გამარჯვება, მოდით და ჩვენი კანდიდატის გარშემო დადექითო. ჩვენ არავის ვთავაზობთ ჩვენ გარშემო დადგომას. ჩვენ ვთავაზობთ ოპოზიციას გაერთიანებას ერთი მიზნის გარშემო! მიზნის და არა კანდიდატის. მიზანი კი ხელისუფლების დამარცხებაა.

***– ამ პირობებში მოხერხდება ხელისუფლების დამარცხება?***

– თუ ყველა ოპოზიციური პარტია გაერთიანდებით, არანაირი პრობლემა არ იქნება ხელისუფლების დამარცხება. ამას არითმეტიკაც გვიჩვენებს. მე ამ საკითხს ვუყურებ არა როგორც ერთჯერად გაერთიანებას, ერთი რომელიმე არჩევნების მოსაგებად. არავითარ შემთხვევაში! მე ვთვლი, რომ დღეს დაიწყო გახსნილი, ღია პროცესი, რომელიც მთლიანად შეცვლის პოლიტიკურ კულტურას საქართველოში. საქართველო უნდა მიეჩვიოს, იცხოვროს ახალი, თანამედროვე, დასავლური პრინციპებით და დაანებოს თავი ბოლშევიკური და კომუნისტური წესით კაბინეტებში მიღებულ გადაწყვეტილებებს. თუ ჩვენ ჩვენს შეგნებაში მოვახდენთ ამ ცვლილებებს, სრულიად ახალ სინამდვილეში შევალთ.

***– ანუ ვისმა კანდიდატმაც არ უნდა გაიმარჯვოს, მზად ხართ, რომ მას დაუჭიროთ მხარი?***

– რა თქმა უნდა! რასაკვირველია, არც ვაშაძეა რეალობას მოწყვეტილი, რომ ფიქრობდეს, მისი 2%-ით მოუგებს იმავე უდუმაშვილს ან ელისაშვილს. ის ამბობს, დიახ, მე პატარა შანსები მაქვს და მზად ვარ, დავმარცხდე ამ პრაიმერში. სამაგიეროდ, ჩემი ხმებიც შენ დაგემატება. სხვების ხმებიც შენ დაგემატება. უდუმაშვილი და ხოშტარია რომ ჰპირდებიან ელისაშვილს, მეორე ტურში შენ დაგიჭერთ მხარსო, რაზეც ელისაშვილმა უარი უთხრა, არ ჯობია, თავიდანვე გავერთიანდეთ?! ჯერ ისტორიას არ ახსოვს, რომ მეორე ტურში დამარცხებულ კანდიდატს გაემარჯვოს.

ასეთი რამე არ მომხდარა. ოპოზიციას ცალ-ცალკე არავითარი შანსი არა აქვს! ამას ელემენტარული კვლევები, ენდიაის კვლევები და მათი შიდა კვლევები გვიჩვენებს. ყველა ეს კვლევა გვიჩვენებს, რომ კალაძის პროცენტები მაღალია, სხვების კი – ორჯერ ნაკლები! ასეთ პირობებში გამარჯვება შეუძლებელია. ყველასთან მივალთ და მოვთხოვთ, გვიპასუხონ: რატომ არა? რა მიზეზით არა?! ვინც არ მოვა, ის ხელისუფლების წისქვილზე ასხამს წყალს!



# ექსპერტები: „მსოფლიო ომი მომწიფდა“

## კონგრესი პენტაგონს რუსეთთან დადებული ხელშეკრულების დარღვევას აიძულებს

მარიამ მჭედლიშვილი

**ახალმა სანქციებმა, რომლებიც რუსეთის, ირანისა და ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ აშშ-ის კონგრესის ორივე პალატამ დაამტკიცა და პრეზიდენტმა ხელი მოაწერა, მოსალოდნელზე მეტად გაართულა ვითარება მსოფლიოში.**





სანქციების გაღრმავებას რუსეთის წინააღმდეგ არ მიესალმნენ ევროპის წამყვანი სახელმწიფოები, რომლებმაც განაცხადეს, რომ ამით ზარალდება მათი ეკონომიკური ინტერესები.

სანქციებზე მძაფრად რეაგირებს რუსეთი, რომელმაც ამის საპასუხოდ უკვე შეამცირა აშშ-ის დიპლომატების რიცხვი საელჩოში და შეზღუდა ამერიკის საელჩოს ინფრასტრუქტურა. ევროპელმა ექსპერტებმა უკვე დაასკვნეს, რომ რუსეთზე მომუშავე ანალიტიკოსების განდევნა რუსეთიდან გამოიწვევს აშშ-ის ხელისუფლების საგარეოპოლიტიკურ შეცდომებს მომავალში.

სხვადასხვა წყაროს ცნობით, რუსეთი აშშ-ს სხვა კონტრზომებითაც უპასუხებს.

გაჩერებას არ აპირებს აშშ-ის საკანონმდებლო ორგანოც.

„პოლიტიკოს“ ინფორმაციით, კონგრესი აპირებს, აიძულოს პენტაგონი, დაარღვიოს ხელშეკრულება საშუალო და მცირე სიშორის რაკეტების ლიკვიდაციის თაობაზე. ეს ხელშეკრულება რეიგანმა და გორბაჩოვმა 1987 წელს დადეს.

ახალი სამხედრო ინიციატივა წარმომადგენელთა პალატაში წამოაყენეს. ის გულისხმობს პროგრამის შემუშავებას ხელშეკრულებით აკრძალული რაკეტების მიწისზედა ბაზირების შესახებ. ანალოგიური წინადადების დასმას სენატშიც აპირებენ.

ამ ჩანაფიქრს მოწინააღმდეგეები ამერიკელ კანონმდებლებშიც ჰყავს. ისინი მიიჩნევენ, რომ სარაკეტო ხელშეკრულების დარღვევა ზრდის რუსეთთან ბირთვული კონფრონტაციის რისკს იმ დროს, როცა ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობა ცივი ომის დონეს გაუტოლდა.

ინიციატივის მომხრეების თქმით, ეს ხელშეკრულება პირველმა რუსეთის ახლანდელმა პრეზიდენტმა დაარღვია. ოპონენტების განცხადებით, კონგრესი, განსაკუთრებით კი მისი ქვედა პალატა, ახალი ინიციატივებით თავის უფლებამოსილებებს აჭარბებს.

ამ იდეებს არ ემხრობა თეთრი სახლი, რომელიც აცხადებს, რომ თავად მუშაობს სამხედრო და ეკონომიკურ სტრატეგიაზე, რომელიც მაქსიმუმამდე გაზრდის რუსეთზე ზეწოლას.

საზოგადოების ნაწილი ანტირუსული სანქციების გაღრმავებას მიესალმება, თუმცა ამაზე განსაკუთრებულ იმედს არ ამყარებს.

„ჩიკაგო ტრიბუნის“ შეფასებით, ეკონომიკური სანქციები უფრო სიმბოლოა, ვიდრე გადაწყვეტილება. ის, ვინც ამ სანქციებისგან დიდ შედეგს ელის, გაწბილდება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ სანქციები რუსეთის წინააღმდეგ შეცდომაა. ვლადიმერ პუტინს უნდა ვაჩვენოთ, რომ მას არ აქვს უფლება, დაუსჯელად გვესხმოდეს თავს.

ექსპერტების აღიარებით, ეს სანქციები მიმართულია არა მარტო პუტინის, არამედ, ტრამპის წინააღმდეგ. მისი მიღების ერთ-ერთი მოტივი რუსეთის ჩარევაა 2016 წლის აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში ტრამპის სასარგებლოდ.

ითვლება, რომ ტრამპმა, რომელიც აიძულეს, ხელი მოეწერა ამ სანქციებისათვის, ფაქტობრივად, აღიარა თავისი დანაშაული ანუ გარიგება რუსეთთან.

დონალდ ტრამპს სანქციების კანონით უფლებამოსილებები შეეკვეცა. იგი ამ კანონს ანტიკონსტიტუციურს უწოდებს. მისი მომხრეები მიიჩნევენ, რომ ამით შეილახა პრეზიდენტის ინსტიტუტი და შეირყა ქვეყნის პოლიტიკური სისტემა.

ამ კანონში საქართველო, როგორც რუსეთისაგან დაზარალებული და ოკუპირებული სახელმწიფო, რამდენჯერმეა ნახსენები. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მიხეილ ჯანელიძე აცხადებს, რომ საქართველო დღეს ვაშინგტონის დღის წესრიგშია.

სანქციებმა უკიდურესად დაძაბა ურთიერთობა აშშ-სა და რუსეთს შორის, ასევე კიდევ ერთი განხეთქილება შეიტანა ევროკავშირისა და აშშ-ის მოკავშირეობაში.

შექმნილ სიტუაციაში ანალიტიკოსების ნაწილი დარწმუნებულია, რომ შეიქმნა მსოფლიო ომის წანამძღვრები როგორც ეკონომიკურ, ისე პოლიტიკურ სფეროებში. ასეთი სიტუაციები, როგორც წესი, ან გლობალური სამხედრო კრიზისით წყდება, ან — მსოფლიო ომით.

## სევდია უგრეხელიძე მერობის ერთიანი კანდიდატის გამოსავლენად პრაიმერის ჩატარების იდეას მიესალმება



საკრებულოს წევრი „ნაციონალური მოძრაობიდან“ სევდია უგრეხელიძე მერობის ერთიანი კანდიდატის გამოსავლენად პრაიმერის ჩატარების იდეას მიესალმება. სევდია უგრეხელიძე დღეს სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტში“ ახალი ოპოზიციური გაერთიანების შეხვედრას ესწრებოდა, თუმცა აღნიშნა, რომ ეს პარტიასთან არ შეუთანხმებია.

— მე ვერ მოვასწარი პარტიასთან შეთანხმება, მაგრამ არც არის საჭირო. რამდენიმე მეგობარი შემხვდა და ვთქვით, რომ ეს საინტერესოა და მე მოვედი. რა თქმა უნდა, ამ ამბავს გუნდში მივიტან. პირადად მე მიმაჩნია, რომ გაერთიანებას ალტერნატივა არ აქვს.

ყველა ასე თვლის, რომ ეს აუცილებელია. ნებისმიერი შემთხვევაში ოპოზიციის ერთიანობა ყოველთვის მომგებიანია. ახლა, როცა ეს საეჭვო ღირებულების და არაპროფესიონალი ხელისუფლება საქართველოს უფსკრულისაკენ მიაქანებს, ახლა გაერთიანება აუცილებელია. მაგრამ რამდენად შესაძლებელია ეს, ამისთვის საჭიროა პრაქტიკული გზების დასახვა. მე რომ ვიყო წარდგენილი კანდიდატი, დავინტერესდებოდი ამ შემოთავაზებით, — განაცხადა სევდია უგრეხელიძემ. „ინტერპრესნიუსის“ შეკითხვაზე, მოხსნიდა თუ არა ის კანდიდატურას ზაალ უდუმაშვილის ადგილას, სევდია უგრეხელიძემ უპასუხა:

— რა თქმა უნდა, ვინც გამსვლელია ის უნდა იყოს. მართლა ოლიმპიადა ხომ არ არის, რომ მონაწილეობა იყოს მთავარი. მე ვფიქრობ, საინტერესო აზრი და იდეაა. ვერ გეტყვით ამას პარტია როგორ აღიქვამს. მე პირადად არავინ მიშლის ამას, რომ დავინტერესდე და ამაზე ჩემი აზრი გამოვხატო. ოთხმა ოპოზიციურმა პარტიამ „ახალი საქართველო“, „ახალი ერთობა საქართველოსთვის“, „ევროპელი დემოკრატები“ და „სამოქალაქო ალიანსი თავისუფლებისთვის“ გაერთიანების გადაწყვეტილება მიიღო. ისინი პროდასავლურ ოპოზიციურ პოლიტიკურ ძალებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და საზოგადოების აქტიურ წევრებს გაერთიანებისა და პრაიმერის გზით მერობისა და საკრებულოს საერთო კანდიდატების არჩევისკენ მოუწოდებენ.

## ქალაქ მიუნხენში საქართველოს საკონსულო წარმომადგენელი ეყოლება



მიმდინარე წლის 1 სექტემბრიდან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ორ მიწაზე — ბავარიასა და ბადენ-ვიურტემბერგში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებს საქართველოს კონსული მოემსახურება. როგორც „ინტერპრესნიუსს“ საგარეო საქმეთა სამინისტროდან აცნობეს, საკონსულო წარმომადგენელი ქალაქ მიუნხენში, საქართველოს საპატიო კონსულის ხელმძღვანელობით მოქმედ საკონსულო დაწესებულებაში განთავსდება და ბავარიასა და ბადენ-ვიურტემბერგში მცხოვრებ თანამოქალაქეებს გაუწევს საკონსულო მომსახურებას.

— აღნიშნული გადაწყვეტილება საგარეო უწყებამ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ამ რეგიონებში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების რაოდენობიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე მიიღო, — აცხადებენ სამინისტროში.

ახლადდანიშნული კონსული ზაქარია მეგრელიშვილი საქართველოს ელჩმა ლადო ჭანტურიამ პირადად გააცნო საქართველოს საპატიო კონსულს კლაუს ჰიპსა და მიუნხენში ქართული სათვისტომოს თავმჯდომარეს ლერი დათაშვილს.

## 7 თვის მონაცემებით, დაცულ ტერიტორიებს 489.909 ვიზიტორი ესტუმრა

7 თვის მონაცემებით, დაცულ ტერიტორიებს 489.909 ვიზიტორი ესტუმრა დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორთა რაოდენობა 2017 წლის პირველ 7 თვეში წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 35%-ით გაიზარდა და 489.909 შეადგინა. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ინფორმაციით, 2017 წლის 7 თვის მონაცემებით, ვიზიტორების 61% (301.557 ვიზიტორი) ქართველი, ხოლო 39% (188.352 ვიზიტორი) უცხოელია. ქართველი ვიზიტორების რაოდენობა 2016 წლის 7 თვესთან შედარებით 28%-ით, ხოლო უცხოელი ვიზიტორების რაოდენობა 45%-ითაა გაზრდილი.

— უცხოელ ვიზიტორებს შორის ყველაზე მეტი ვიზიტორი გვესტუმრა გერმანიიდან, ისრაელიდან, პოლონეთიდან, უკრაინიდან და რუსეთიდან.

ვიზიტორთა სტატისტიკის მიხედვით, 2017 წელს ყველაზე მეტი ვიზიტორი პრომეთეს მღვიმეს (81.110), მარტვილის კანიონს (74.580), ყაზბეგის ეროვნულ პარკს (72.102), სათაფლიას (55.815) და ოკაცეს კანიონს (38.088) ესტუმრა. 2016 წელს ვიზიტორთა ცენტრისა და თანამედროვე სტანდარტების ინფრასტრუქტურის მოწყობის შემდეგ ვიზიტორთა რაოდენობის განსაკუთრებული ზრდა აღინიშნება მარტვილის კანიონზე. 1 წელიწადში კანიონის ვიზიტორთა ცენტრის შემოსავალმა 1.404.278 ლარი შეადგინა. მათ შორის 606.000 ლარი მიიღო შპს „ოფუცხოიმ“, რომელიც აერთიანებს იმ ადგილობრივ მაცხოვრებლებს, ვინც მანამდე ნავით მომსახურების სერვისს სტიქიურად ახორციელებდა. შპს „ოფუცხოიში“ 80 ადამიანია დასაქმებული და თითოეულის ინვესტიცია 1.100 ლარი იყო. 3.500.000 ლარი შეადგინა კანიონის მიმდებარედ განვითარებული ადგილობრივი ბიზნესის შემოსავალმა. 50-დან 120-მდე გაიზარდა მარტვილის კანიონში და მის მიმდებარედ დასაქმებულთა რაოდენობა. 2016 წლამდე მუნიციპალიტეტში სულ 10 სასტუმრო ფუნქციონირებდა. დღეს მათი რიცხვი 25-ია, — ნათქვამია ინფორმაციაში.

## გაზის ტარიფების ცვლილების ზეგავლენა ოჯახის მთლიან ხარჯებზე



2017 წლის 17-18 ივლისს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ გაზის ტრანსპორტირებისა და განაწილების ახალი ტარიფები დაადგინა: შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ ტარიფი 46.153 თეთრით განისაზღვრა, რაც ძველ მაჩვენებელს 0.534 თეთრით აღემატება. სს „საქორგგაზისა“ (57.011 თეთრი) და შპს „სოკარ ჯორჯია გაზის“ ტარიფებმა კი (56.940 თეთრი) საშუალოდ 11-12 თეთრით მოიმატა.

ტარიფების ცვლილებების ზემოქმედების შეფასება მოსახლეობის კეთილდღეობაზე შესაძლებელია სხვადასხვა მონაცემის საფუძველზე. მაგალითად. ევროკავშირის სტატისტიკის სამსახურის (ევროსტატის) მონაცემებით, საქართველოში ოჯახის საშუალო ხარჯებში ყველაზე დიდი წილი აქვს საკვებ პროდუქტებზე დანახარჯებს და ის 33-35%-ს შეადგენს. კომუნალური ხარჯების წილი მთლიან დანახარჯებში 11-12%-ია. ამაში იგულისხმება სახლის მოვლის, წყლის, ელექტროენერგიის, გაზისა და სხვა სათბობის მოხმარების ხარჯები.

იმავე ევროსტატის მონაცემებით, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში კომუნალური ხარჯების წილი უფრო მაღალია: მონტენეგრო (15.2% – 2013წ), მაკედონია (14.7% – 2013წ), სერბეთი (22.9% – 2012წ), კოსოვო (30% – 2013წ) და თურქეთი (25.8% – 2012წ).

გაზრდილი დანახარჯების ძირითადი წილი ზამთარზე მოდის. „ყაზტრანსგაზის“ მომხმარებლებისათვის გაზრდილი მაჩვენებელი მთლიანი დანახარჯის მხოლოდ 0.057%-ს შეადგენს, ამ ცვალებადობის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ თბილისში საშუალო ოჯახის ხარჯები ზამთარში 0.08-0.09%-ით ხოლო ზაფხულში 0.02%-ით გაიზრდება.

„საქორგგაზისა“ და „სოკარ ჯორჯია გაზის“ შემთხვევაში რეგულირებული საყოფაცხოვრებო ტარიფის ზრდა დაახლოებით 20%-ია, შესაბამისად სხვა ქალაქების აბონენტებისთვის გაზრდილი ტარიფები საშუალო ოჯახის მთლიან დანახარჯებს გაზრდის 0.56%-ით. სხვა ქალაქებისთვის ეს მაჩვენებლები იქნება ზამთარში – 0.9-1% და ზაფხულში 0.2%. გასათვალისწინებელია, რომ კვლევების მიხედვით სოფლის მოსახლეობა უმეტესად შეშით თბება, შესაბამისად ანალოგიური შეფასება გართულებულია.

სოციალური ეფექტის შეფასებისას ასევე გასათვალისწინებელია, რომ როგორც წესი, დაბალშემოსავლიან ოჯახებში ენერგეტიკული ხარჯების წილი უფრო მაღალია ვიდრე შეძლებულ ოჯახებში.

ზემოთ მოყვანილია მხოლოდ პირველადი შეფასებები რაც მოითხოვს დაზუსტებას უფრო დეტალური ინფორმაციის საფუძველზე, თუმცა იგი საკმარისი მიახლოებით ასახავს რეალობას მოსახლეობის პირდაპირი სუბსიდირების და/ან საფეხურიანი ტარიფების შემოღების მიზანშეწონილობის შესაფასებლად.

## „საქართველოს ლატარიის კომპანია სექტემბერში იხურება“ — კომპანია მომხმარებლებს აფრთხილებს



„საქართველოს ლატარიის კომპანია“ იხურება. „ლოტო 6/36-ის ბოლო, რიგით 796-ე გათამაშება 1 სექტემბერს გაიმართება. „საქართველოს ლატარიის კომპანია,“ ლოტოს ბოლო გათამაშების ორგანიზებისა და მოგების განაღდების პროცედურების დასრულების შემდეგ, საქმიანობას შეწყვეტს.

— ეროვნულ ლატარიაში ჩართული მონაწილეების ინტერესების გათვალისწინებით, გაცნობებთ, რომ საქართველოს ლატარიის კომპანიის გათამაშებაში მონაწილეობის მიღება 2017 წლის 1 სექტემბრის ჩათვლით იქნება შესაძლებელი, — აღნიშნულია კომპანიის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში. ლოტო 6/36-ისა და ყველა მიმდინარე მომენტალური გათამაშების ბილეთების გაყიდვა 1 სექტემბრის საღამოს შეწყდება.

„საქართველოს ლატარიის კომპანია“ ქართულ ბაზარზე 2009 წელს შემოვიდა. კომპანია ამ დრომდე საქართველოში ლატარიის გამართვის ექსკლუზიურ უფლებას ფლობს. „ლატარიის კომპანიის“ 70%-იან წილს სახელმწიფო ფლობს, 30% კი ბრიტანეთში, ვირჯინიის კუნძულებზე რეგისტრირებულ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას „ლექსორ კაპიტალ კორპორეიშენს“ ეკუთვნის.

ბიპიენი„საქართველოს ლატარიის კომპანია სექტემბერში იხურება“ — კომპანია მომხმარებლებს აფრთხილებს

„საქართველოს ლატარიის კომპანია“ იხურება. „ლოტო 6/36-ის ბოლო, რიგით 796-ე გათამაშება 1 სექტემბერს გაიმართება. „საქართველოს ლატარიის კომპანია,“ ლოტოს ბოლო გათამაშების ორგანიზებისა და მოგების განაღდების პროცედურების დასრულების შემდეგ, საქმიანობას შეწყვეტს.

— ეროვნულ ლატარიაში ჩართული მონაწილეების ინტერესების გათვალისწინებით, გაცნობებთ, რომ საქართველოს ლატარიის კომპანიის გათამაშებაში მონაწილეობის მიღება 2017 წლის 1 სექტემბრის ჩათვლით იქნება შესაძლებელი, — აღნიშნულია კომპანიის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ლოტო 6/36-ისა და ყველა მიმდინარე მომენტალური გათამაშების ბილეთების გაყიდვა 1 სექტემბრის საღამოს შეწყდება.

„საქართველოს ლატარიის კომპანია“ ქართულ ბაზარზე 2009 წელს შემოვიდა. კომპანია ამ დრომდე საქართველოში ლატარიის გამართვის ექსკლუზიურ უფლებას ფლობს. „ლატარიის კომპანიის“ 70%-იან წილს სახელმწიფო ფლობს, 30% კი ბრიტანეთში, ვირჯინიის კუნძულებზე რეგისტრირებულ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას „ლექსორ კაპიტალ კორპორეიშენს“ ეკუთვნის.

**ბიპიენი**

# უმსხვილესი ჰაკერული თავდასხმები, რომელთა შედეგად ბანკებმა მილიარდობით დოლარი დაკარგეს

თანამედროვე ტექნოლოგიებმა ჩვენი სამყარო „თავდაყირა დააყენა“. ციფრულმა და ელექტრონულმა სისტემებმა ყოველდღიური ყოფის გამარტივებასთან ერთად, უნებლიედ, დანაშაულის ჩადენის ახალი მეთოდები შექმნეს. მე-19 საუკუნის მიწურულს, დიდი თანხების ხელში ჩაგდების მიზნით, მძარცველები საფოსტო დილიჟანსებსა და ბანკებს აყაჩაღებდნენ. მოგვიანებით, სატრანსპორტო საშუალებების განვითარებასთან ერთად, თავდასხმის მთავარი სამიზნე საფოსტო მატარებლები გახდა.



დღეს სულ უფრო და უფრო ხშირად დიდი ოდენობით თანხების მოპარვა-მითვისება ელექტრონული გზით ხდება. შეიცვალა „თავდამსხმელთა“ სახელწოდებაც – ქურდებისა და ყაჩაღების ნაცვლად მათ – ჰაკერებს უწოდებენ. პისტოლეტებისა და დინამიტის ნაცვლად კი, ისინი კომპიუტერებითა და სხვადასხვა ელექტრონული პროგრამებით არიან შეიარაღებულნი.

2015 წლის თებერვალში მსოფლიო ისტორიის მანძილზე ყველაზე მსხვილი ჰაკერული თავდასხმის შესახებ გახდა ცნობილი, რომელიც საბანკო სისტემაში განხორციელებულა. პლანეტის მასშტაბით 100-ზე მეტი კომპანიიდან „ელექტრონულმა თავდამსხმელებმა“ დაახლოებით 1 მილიარდი აშშ დოლარი „მოიპარეს“. „ინტერპოლის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ჰაკერული თავდასხმაში, რომელიც 2 წელიწადს გრძელდებოდა, რუსეთის, უკრაინის, ჩინეთის და რიგი ევროპული სახელმწიფოების საუკეთესო ჰაკერები მონაწილეობდნენ.

მასშტაბების გარდა, ინტერესს თავად თავდასხმის მეთოდიც იწვევს. ბანკის კლიენტების (ფიზიკური პირების) ნაცვლად, ფულის მითვისებისთვის, კიბერთავდასხმები უშუალოდ კომპანიებზე ხორციელდებოდა. საბანკო სისტემაში შეღწევის შემდეგ ჰაკერები ირჩევდნენ სასურველ კომპანიას და თავდასხმისთვის ემზადებოდნენ. სისტემაში შეღწევიდან საკუთარ ანგარიშებზე თანხის გადმორიცხვამდე, ჰაკერებს 2-დან 4 თვემდე სჭირდებოდათ.

კომპიუტერულ სისტემაში შეღწევა სტანდარტული მეთოდით ხდებოდა – კიბერთავდამსხმელები ბანკის წინასწარ შერჩეულ თანამშრომელს ელექტრონულ შეტყობინებას უგზავნიდნენ. მაგალითად, ეს შეიძლებოდა ყოფილიყო სპეციალური ვირუსული პროგრამით „დაავადებული“ სარეკლამო გზავნილი ან სულაც ოფისის თანამშრომლის სახელით მიღებული ელექტრონული წერილი. შეტყობინების გახსნისთანავე ვირუსი მომხმარებლის კომპიუტერთან ერთად, შიდა ქსელის მეშვეობით წინასწარ განსაზღვრულ კომპიუტერებსაც აზიანებდა. შემდგომ მარტივი მანიპულაციებით ჰაკერები სრულად ეუფლებოდნენ იმ კომპიუტერებს, რომლებსაც ბანკომატების მართვისთვის ან ფულადი გადარიცხვებისთვის იყენებდნენ.

ელექტრონულის გარდა, ჰაკერები ნაღდ ფულსაც იპარავდნენ. ბანკომატებზე კონტროლის დამყარების შემდეგ, ჰაკერი წინასწარ განსაზღვრულ დროს, შესაბამისს ბანკომატს ფულის გაცემის ბრძანებას აწვდიდა, რომელსაც იქვე მყოფი თანამზრახველი იღებდა.

ჰაკერთა ჯგუფი სწორედაც რომ ბანკომატმა დაღუპა. მათი მოქმედება კიდევ დიდხანს დარჩებოდა შეუმჩნეველი, რომ არა კიევის ერთ-ერთ გარეუბანში მდგარი ბანკომატი, რომელიც ქალაქის ცენტრში მდგარ ანალოგიურ მოწყობილობებთან შედარებით, თითქმის ყოველკვირეულად საკმაოდ სოლიდური ოდენობის თანხას უნაღდებდა.

ბანკის თანამშრომელთა ყურადღება სათვალთვალო კამერის მიერ დაფიქსირებულმა უჩვეულო სურათმა მიიქცია. დიდი მოცულობის თანხას ბანკომატი ყოველ ჯერზე ერთი და იგივე პიროვნებისთვის ანაღდებდა, თანაც ისე რომ ეს ადამიანი აპარატზე არანაირ ფიზიკურ ზემოქმედებას არ ახდენდა – ბანკომატში არც ბარათს ათავსებდა და არც ღილაკებს აწვებოდა.

გასული წლის ნოემბრის დასაწყისში ცნობილი გახდა, რომ ჰაკერებმა ფული ბრიტანული Tesco Bank-ის 20 ათასზე მეტ მომხმარებელს მოპარეს. ვირტუალური მძარცველების მოქმედების შედეგად, ბანკის თითოეულმა კლიენტმა 20-დან 600-მდე გირვანქა სტერლინგი დაკარგა.

2015-2016 საფინანსო წლის განმავლობაში რუსეთში ჰაკერებმა საერთო ჯამში 5,5 მილიარდი რუბლი მოიპარეს.

„ოცდამეერთე საუკუნის რობინ ჰუდი“ – ასე შეარქვა მსოფლიომ ჰამზა ბენდალაჯს. ალჟირელმა ჰაკერმა 217 ბანკის სერვერის გატეხა და საერთო ჯამში 4 მილიარდი აშშ დოლარის მოპარვა შეძლო. ამ თანხიდან ლომის წილი მან აფრიკაში მოქმედ არასამთავრობო ჰუმანიტარულ ორგანიზაციებს, 280 მილიონი დოლარი კი პალესტინის დახმარების ჰუმანიტარულ ფონდს გადაურიცხა. ბენდალაჯი 2015 წელს ტაილანდში დააკავეს და 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

ეს მხოლოდ გახმაურებული შემთხვევებია. ყოველდღიურად კი ელექტრონული თანხების მითვისების მიზნით, მსოფლიო მასშტაბით ჰაკერები ასობით ოპერაციას აწყობენ. ხშირ შემთხვევაში მიტაცებული თანხების მოცულობა რამდენიმე ათასი დოლარის ფარგლებში მერყეობს. მსხვილი თავდასხმების განხორციელებას გაცილებით ხანგრძლივი მომზადება და სათანადო ცოდნა სჭირდება.

**ამბები.გე**

# ქუთაისში ბანკის ვალის გამო დაზარალებულის სახლს აუქციონზე აღარ გაიტანენ



– დაზარალებული იპოთეკარის მოთხოვნა სასამართლომ გაითვალისწინა და მის სახლს აუქციონზე აღარ გაიტანენ იმ დრომდე, ვიდრე სასამართლო პროცესები არ დასრულდება.

ამის შესახებ „კომერსანტს“ პარტია თავისუფალ საქართველოს ლიდერმა ქუთაისში გოგი წულაიამ განუცხადა. შესაბამისად, დაზარალებულმა „საქართველოს ბანკის“ წინ დაწყებული შიმშილობაც შეწყვიტა.

როგორც ცნობილია, ქუთაისში, „საქართველოს ბანკის“ შენობის წინ მოქალაქემ შიმშილობა 1-ლ აგვისტოს დაიწყო. როგორც მოშიმშილე ოთარ ხმელიძე აცხადებდა, ბანკში სესხის გადახდის დაგვიანების გამო მას დიდი რაოდენობით ჯარიმა დაუწესეს და ქონება იძულებით აუქციონზე გაიტანეს.

– ბანკიდან სესხის სახით 17.500 ლარი მქონდა გამოტანილი, რომელსაც პირნათლად ვიხდიდი. 3.600 ლარი გადახდილი მაქვს ამ თანხიდან. ერთხელ შემეშალა ხელი და თანხის გადახდა დამაგვიანდა. ბანკში რომ მივედი, თანხა აღარ გადამახდევინეს და ორ თვეში ჯარიმის სახით 22.000 ლარი დამაკისრეს. მე უარს არ ვამბობ ჩემი საბანკო ვალდებულებების დაფარვაზე, თუმცა უკანონოდ დარიცხულ ჯარიმას არ გადავიხდი. ბანკი ახლა მორიგების აქტს მთავაზობს, თუმცა იმავე კაბალური პირობებით, რომელსაც, ცხადია, ხელს არ მოვაწერ, – აცხადებდა ოთარ ხმელიძე.

რატომ დაეკისრა მოქალაქეს ამ ოდენობის ჯარიმა სესხის გადახდის 2-თვიანი გადაცილების გამო, ამასთან დაკავშირებით „საქართველოს ბანკში“ დეტალურ კომენტარს არ აკეთებენ. ბანკში აცხადებენ, რომ მათ აღნიშნული პირის მიმართ ვადაგადაცილებაზე სამართლებრივი მოქმედებები დაიწყეს.

– აღნიშნულ, მომხმარებელს საქართველოს ბანკში, ერიცხება უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხი. აღნიშნული სესხი დიდი ხანია იმყოფება ვადაგადაცილებაში. იმისათვის, რომ მომხმარებელს შეესრულებინა სესხის დაფარვის ვალდებულება, ბანკმა არაერთი შეღავათი გაუკეთა მას, მათ შორის, შესთავაზა სხვადასხვა სახის გრაფიკით და პირობებით სესხის დაფარვა. თუმცა მომხმარებელმა არ მიიღო არცერთი შეთავაზება. ამ დრომდე მსესხებელი არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებას, შესაბამისად, ბანკმა ვალდებულების გადაცილების გამო დაიწყო სამართლებრივი მოქმედებები, – განუცხადეს კომერსანტს „საქართველოს ბანკში“.

ოთარ ხმელიძის პრობლემასთან დაკავშირებით ინფორმირებულები არიან ეროვნულ ბანკშიც. როგორც „კომერსანტს“ ეროვნულ ბანკში განუცხადეს, „ეროვნული ბანკის მომხმარებელთა უფლებების დაცვის განყოფილების თანამშრომლებს აქტიური კომუნიკაცია ჰქონდათ როგორც მომხმარებელთან, ასევე ბანკთან. მომხმარებელს აქვს მიმდინარე დავალიანება, რომელიც რამდენიმეთვიან ვადაგადაცილებაშია“.

რაც შეეხება დაკისრებული ჯარიმის ოდენობას, ეროვნულ ბანკში აცხადებენ:

– ორ პირს შორის კერძო სამართლებრივ ურთიერთობაში ჩარევა სცილდება ეროვნული ბანკის კომპეტენციას. თუმცა, ეროვნული ბანკის მიერ მხარეებთან აქტიური კომუნიკაციის შედეგად „საქართველოს ბანკმა“ მომხმარებელს შესთავაზა გარკვეული პირობებით მორიგება, რაც მათ შორის, გულისხმობს დავალიანების განაწილებასა და მომხმარებლის მიერ გრაფიკით განსაზღვრული პირობების შესრულების შემთხვევაში ჯარიმების კორექტირებას, რომელსაც მომხმარებელი არ თანხმდება, – განაცხადეს ეროვნულ ბანკში.

# „სითი პარკს“ ხვიჩა მაქაცარია არ ყიდულობს

„თბილისის მიკროავტობუსის“ განცხადება, რომ „სითი პარკის“ 25 მლნ ლარად შეძენას ხვიჩა მაქაცარია გეგმავს, სიმართლეს არ შეესაბამება.

„თბილისის მიკროავტობუსი“ ალეკო ელისაშვილის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას პასუხობს. „თბილისის მიკროავტობუსი“ განცხადებას ავრცელებს, რომელსაც „ბიზნესპრესნიუსი“ უცვლელად გთავაზობთ:



– თბილისის მერობის ერთ-ერთი კანდიდატის ალეკო ელისაშვილის მიერ გავრცელებული განცხადება, რომ კომპანია „სითი პარკის“ 25 მილიონ ლარად შეძენას გეგმას ბიზნესმენი ხვიჩა მაქაცარია არ შეესაბამება სიმართლეს. პოლიტიკური სარჩევნო კამპანიისთვის ბიზნესის გამოყენება ხელს უშლის ეკონომიკური პროცესების ჯანსაღად მიმდინარეობას, – ნათქვამია კომპანიის განცხადებაში. დედაქალაქის მერობის დამოუკიდებელი კანდიდატის, ალეკო ელისაშვილის ინფორმაციით, თბილისის მერია „სითი პარკის“ ჩანაცვლებას ახალი კომპანიით გეგმავს, რომელიც „თბილისის მიკროავტობუსის“ მფლობელ ხვიჩა მაქაცარიას ეკუთვნის.

ელისაშვილის თქმით, „სითი პარკის“ საკომპენსაციო 25 მილიონ ლარსაც სწორედ მაქაცარია გადაიხდის. ელისაშვილი აღნიშნულ მოლაპარაკებებს უარყოფითად აფასებს და დედაქალაქის საპარკინგო კომპანიის გამოსავლენად საერთაშორისო ტენდერის ჩატარებას მოითხოვს.

**ბიპიენი**

# რა ეტაპების გავლაა საჭირო უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის დროს?

საცხოვრებელი ბინის ან კომერციული ფართის ყიდვა-გაყიდვას თან უამრავი წვრილმანი პროცედურა და ხარჯი ახლავს. რა ეტაპებს გავდივართ უძრავი ქონების ყიდვის ან გაყიდვის დროს? – „ბიზნესპრესნიუსს“ უძრავი ქონების სააგენტო „კიბის“ ხელმძღვანელი ნელი გოგუაძე ესაუბრა.

**ნელი გოგუაძე:**

– ბინის ყიდვა-გაყიდვის დროს პირველი ეტაპი ყველაზე მნიშვნელოვანია: მყიდველმა უნდა ნახოს უძრავი ქონება და მისი ფასი მოიწონოს. თუ გამყიდველი და მყიდველი ფასზე შეთანხმდებიან, შემდგომი ეტაპი უკვე ანაზღაურებაა: ორივე მხარემ ერთობლივად უნდა გადაწყვიტოს, როგორ, რა ფორმით მოხდება ანგარიშსწორება – ნაღდი ფულით თუ უნაღდო ანგარიშგების გზით.

***– ქალბატონო ნელი, დოკუმენტებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი რომელია?***

– იმისათვის, რომ უძრავი ქონება გავყიდოთ, საჭირო დოკუმენტაცია წესრიგში უნდა გვქონდეს: პირველ ყოვლისა, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო-აზომვითი ნახაზი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს კერძო სახლის, ან მიწის ნაკვეთის შეძენისას. რა სახისაა ეს ქონება – მხოლოდ მიწაა, ბინა თუ კომერციული ფართი, ამის შესახებ ინფორმაცია საჯარო რეესტრის ამონაწერშია, თანაც, ეს ფართი შესაბამისობაში უნდა იყოს საკადასტრო-აზომვით ნახაზთან. თუ საჯარო რეესტრის ამონაწერი „სუფთაა“ და ბინის მფლობელს არანაირი ვალდებულება არა აქვს – არც იპოთეკური სესხი და არც საგადასახადო გირავნობა, ამის შემდეგ საჭიროა ამონაწერი განახლდეს. როდესაც რეესტრის ამონაწერი განახლდება, ამის შემდეგ ფორმდება ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება. თუ ბინა ბანკშია ჩადებული და მის მფლობელს იპოთეკური სესხი აქვს აღებული, მაშინ აუცილებლად უნდა გამოითხოვონ მონაცემები ბანკიდან, რომ ეს ვალდებულება მყიდველზე არ გადავიდეს.

***– რა შემთხვევაში მიმართავენ მხარეები ნოტარიუსს?***

– საჯარო რეესტრში არსებული დოკუმენტაცია სავსებით საკმარისია, თუმცა არის შემთხვევები, როცა მყიდველი ბინის ნოტარიუსთან გაფორმებასაც მოითხოვს. ამ საკითხის გადაწყვეტაც გამყიდველის და მყიდველის ურთიერთშეთანხმებაზეა დამოკიდებული.



***– რა ღირს ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმება საჯარო რეესტრში და ნოტარიუსთან?***

– ნასყიდობის ხელშეკრულებას სხვადასხვა საფასური აქვს: ოთხდღიანი 51 ლარი ღირს, როდესაც ხელშეკრულება იმავე დღეს ფორმდება, მყიდველმა, ან გამყიდველმა 200 ლარი უნდა გადაიხადოს, ხოლო მეორე სამუშაო დღეს – 150 ლარი. ვინ გადაიხდის ამ თანხას, ეს მათ შეთანხმებაზეა დამოკიდებული. თუ ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება ნოტარიუსთან გაფორმდება, მომსახურების თანხა გარიგების ღირებულებაზე იქნება დამოკიდებული. რაც უფრო მეტია ნასყიდობის თანხა, მით მეტია სანოტარო ბაჟიც. ამიტომ, უმეტესობა ირჩევს ხელშეკრულება საჯარო რეესტრში გააფორმოს, თუმცა, საჯარო რეესტრის ხელშეკრულებას ზოგი ნოტარიულ დამოწმებას ამჯობინებს, მიუხედავად იმისა, რომ საჯარო რეესტრში ეს პროცედურა უფრო მარტივიცაა და იაფიც.

***– რატომ იხდიან 150-200 ლარს, როცა შეუძლიათ, ნასყიდობის ხელშეკრულება 4 დღეში გაცილებით იაფად მიიღონ?***

– ვინც 200 ლარს იხდის, სურს, რომ ხელშეკრულება იმ დღესვე მიიღოს. როდესაც ადამიანი ქონებას ყიდულობს და ნასყიდობის ხელშეკრულება საჯარო რეესტრში ბარდება, ეს იმას ნიშნავს, რომ გამყიდველის უფლება-მოვალეობები უკვე მყიდველზე გადადის. ზოგჯერ ბინის გამყიდველი და მყიდველი ერთმანეთს არ ენდობიან: გამყიდველი შიშობს, რომ თანხას სრულად არ გადაუხდიან, მყიდველი კი ფრთხილობს, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერში რაღაც ხარვეზი იქნება. ამიტომ, ურჩევნია ხელშეკრულება იმ დღესვე ნახოს და თანხა რაც შეიძლება მალე მიიღოს. ნოტარიუსსაც იმიტომ მიმართავენ, რომ ორივე მხარე უფრო მეტად იყოს დაზღვეული გაუგებრობებისგან, თუმცა ძირითადი საკუთრების დამდგენი დოკუმენტი მაინც საჯარო რეესტრის ამონაწერია.

***– რა ხდება მაშინ, როცა მესაკუთრე ძვირადღირებულ ქონებას ყიდის?***

– როდესაც ვინმე რამდენიმემილიონიან ქონებას ყიდის, იურისტების ჩარევა აუცილებელია. როგორც წესი, ასეთი გარიგება იურიდიულად ფორმდება. ასე მარტივად არავინ მივა საჯარო რეესტრში და მილიონიან ქონებას სხვას არ გადაუფორმებს. კიდევ უფრო რთულდება პროცედურა, როცა ამ ქონებას იურიდიული პირი ყიდის, ან ყიდულობს. ამ შემთხვევაში მოლაპარაკებებში კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოა ჩართული, კიდევ ერთხელ ამოწმებენ დოკუმენტაციას და სათანადო ოქმს აფორმებენ. ასეთი მსხვილი გარიგებების დროს იურიდიულ მხარეს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.



# გურამ ქართველიშვილი: „სიფრთხილე გვმართებს, ისეთ მდგომარეობაშია ქვეყანა“

მწერალი და ისტორიკოსი, პროექტის „გააგრძელე საქართველოს ისტორია“ ავტორი გურამ ქართველიშვილი ქართველებს მეტი სიფრთხილის გამოჩენას ურჩევს:

– ქართველებს ერთი პირი არ გვაქვს და ეს არახალია. უკვე შევეჩვიეთ კიდეც იმას, რომ მუდმივად ვედავოთ ერთმანეთს. ვიკამათოთ სახელმწიფოებრივ საკითხებზე და არც კი ვიფიქროთ იმაზე, რომ ხშირად ჩვენ მიერ ნასროლი აზრები, რომელიღაც ქვეყნის სპეცსამსახურშია დაწერილი და ჩვენზე თავსმოხვეული.

ქართველები ხომ ფასდაუდებელ სამსახურს ვუწევთ ჩვენი მოქმედებით მათ, ვინც დიდ სახსრებს ხარჯავს იმისთვის, რომ ჩვენ, ჩვენივე ქვეყნის საზიანოდ გამოგვიყენოს.

ვინც იძულებული არ ხართ ქვეყნის საზიანო პოსტები წეროთ და არ ემსახურებით გადამთიელებს, ურიგო არ იქნება დაფიქრდეთ პოსტის გამოქვეყნებამდე, ვის წისქვილზე ასხამს წყალს თქვენი ნააზრევი. არადა, სიფრთხილე გვმართებს, ისეთ მდგომარეობაშია ქვეყანა...

# შოთა რუსთაველის შეურაცხმყოფელ სტატიაზე პროტესტი გამოითქვა

რუსთაველის საზოგადოების წარმომადგენელმა გერმანიაში მწერალმა მოსე ბოროდამ ჟურნალ „ქარავანში“ შოთა რუსთაველის წინააღმდეგ დაბეჭდილი ცილისმწამებლური სტატია გააპროტესტა.

ინფორმაცია ამის შესახებ რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტმა დავით შემოქმედელმა გაავრცელა:

– გახსოვთ, ალბათ, ამ რამდენიმე დღის წინ ატეხილი აჟიოტაჟი და სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების საპროტესტო განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ რუსულ პოპულარულ ორიენტალისტური ხასიათის ჟურნალ ,,,ქარავანში“ დაიბეჭდა ორიენტალისტ კურცვაილის დამამცირებელი, ცილისმწამებლური სტატია რუსთაველის წინააღმდეგ.

დღემდე, უმეტესწილად, საქართველოში არსებობდა გულუბრყვილო პრაქტიკა, რომ როცა უცხოეთში საქართველოს წინააღმდეგ გაილაშქრებდნენ, ჩვენ აქ, ქართულ პრესაში, ვიოხებდით მხოლოდ მათი საწინააღმდეგო წერილებით გულს, რაც უცხოელი მკითხველისათვის სრულიად შეუმჩნეველი რჩებოდა.

ამჟამად საპასუხო წერილი მწერალთა საერთაშორისო გილდიის გერმანულ მრავალმილიონიან რუსულენოვან პოპულარულ ჟურნალში დაიბეჭდა. მისი ავტორი გახლავთ სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების სპეციალური წარმომადგენელი გერმანიაში, მწერალი მოსე ბოროდა.

მიღებულია შეთანხმება, რომ აღნიშნული წერილი დაიბეჭდება უახლოეს მომავალში ჟურნალ ,,ქარავანში“, სადაც გამოქვეყნდა კურცვაილის სტატია.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## კალეიდოსკოპი

# იაპონელმა მხატვარმა ჰონგ კონგის უბე საპნის ბუშტებით აავსო

იაპონელმა მხატვარმა სინძი ომაკიმ ჰონგ კონგში უბე ვიქტორია მილიონობით საპნის ბუშტით აავსო.



პროექტს ეწოდა „მემორიალური გარდასახვა“. საპნის ბუშტების გასაშვებად სპეციალური აპარატი გამოიყენება, რომლის სიმაღლე სამი მეტრია.

წუთში მოწყობილობა 10 ათას საპნის ბუშტს უშვებს. აპარატი ყოველ 15-20 წუთში დაახლოებით 35 ლიტრ სპეციალურ ხსნარს იყენებს.

ომაკის თქმით, მას სურდა, შეექმნა სივრცე, რომლის წყალობით ადამიანები იმაზე დაფიქრდებოდნენ, რა მოხდება, თუ სამყარო ისევე გაქრება ერთ წამში, როგორც ეს საპნის ბუშტების შემთხვევაში ხდება.

იაპონელი მხატვრის პროექტი 20 აგვისტომდე გაგრძელდება.

# ფრანგული აქცენტი მსოფლიოში ყველაზე სექსუალურად აღიარეს

ახლახან ჩატარებული გამოკითხვის შედეგად ფრანგული აქცენტი მსოფლიოში ყველაზე სექსუალურად აღიარეს. კვლევაში 15 ათასმა რესპონდენტმა მიიღო მონაწილეობა.



გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ფრანგული კვლავაც აგრძელებს უცხოელების „მოხიბვლას“. მას ხმა ავსტრალიელთა 63-მა, ამერიკელთა 43-მა და იტალიელთა 47 პროცენტმა მისცა.

თავის მხრივ, ფრანგების 40 პროცენტი ყველაზე სექსუალურად იტალიურს მიიჩნევს. ბრიტანულ აქცენტს ხმა ფრანგი რესპონდენტების მხოლოდ 23 პროცენტმა მისცა.

ყველაზე ნაკლებად სექსუალურად დასახელდა პოლონური, თურქული, დანიური, ჰოლანდიური და რუსული.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

# მადლობის წერილი

**მადლობას ვუხდი ვაკის რაიონის გამგებლის მოადგილეს, ბატონ გიორგი ბირბიჩაძეს სამედიცინო მედიკამენტებით დახმარებისათვის.**

**ადამიანი, რომელიც ზნეობას, ადამიანის კეთილდღეობას, სიმართლეს თავის თანამდებობაზე მაღლა აყენებს. ამიტომ უყვარს იგი ვაკის მოსახლეობას.**

**ღმერთმა დალოცოს შენი მშობლები ასეთი კარგი შვილის აღზრდისათვის.**

პენსიონერი რომან წოწორია

# ბათუმში ახალგაზრდა ქალი დაჭრეს

ბათუმში, გამსახურდიას ქუჩაზე, 30 წლამდე ქალბატონს მამაკაცმა ყელის არეში ჭრილობა მიაყენა. როგორც ბათუმის სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ცენტრის დირექტორის მოადგილე ბადრი პაქსაძემ „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, ქალბატონი მსუბუქად არის დაშავებული, იგი სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადამ ბათუმის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანა.




როგორც რესპუბლიკური საავადმყოფოს დირექტორის მოადგილე გიორგი კიკაბიძემ განაცხადა, დაშავებულ ქალბატონს მსუბუქი ჭრილობები აღენიშნება, მას მცირე ქირურგიული ჩარევა დასჭირდა.

ახალგაზრდა ქალის დაჭრაში ბრალდებული დააკავეს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდართან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 19.108-ე მუხლით დაიწყო, რაც განზრახ მკვლელობის მცდელობას გულისხმობს.

# სასამართლომ ყაჩაღობაში ბრალდებულს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა

ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ყაჩაღობაში ბრალდებული ბ.შ. დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

პროკურატურის ინფორმაციით, სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადგინდა, რომ 2017 წლის 18 მარტს, დაახლოებით 15:05 საათზე, ცეცხლსასროლი იარაღის მსგავსი საგნით შეიარაღებული ბ.შ. თავს დაესხა ქ.ზუგდიდში, ზ.გამსახურდიას გამზირი №18-ში მდებარე შპს „საქართველოს ფოსტის“ კუთვნილ სავაჭრო ჯიხურის გამყიდველს – ლ.რ-ს, რომელსაც სიცოცხლის მოსპობის მუქარით გასტაცა თანხა 800 ლარის ოდენობით.

ჩატარებული საგამოძიებო და ოპერატიული-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, სამართალდამცველებმა ბ.შ. 2017 წლის 19 მარტს, ქალაქ წალენჯიხაში დააკავეს. მას ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (ყაჩაღობა, თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სიცოცხლისთვის და ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით) წარედგინა.

ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ ბ.შ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 5 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

# საზღვარზე დიდი რაოდენობით მობილური ტელეფონისა და საათის გადატანის ფაქტზე ერთი პირი დააკავეს

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებთან ერთად, საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესის დარღვევის ფაქტზე ერთი პირი დააკავა.



როგორც „ინტერპრესნიუსს“ შემოსავლების სამსახურიდან აცნობეს, გამოძიებით დადგინდა, რომ აღნიშნული პირი, მისი მართვის ქვეშ მყოფი ავტომანქანით, საბაჟო-გამშვები პუნქტ სარფის გავლით, საბაჟო კონტროლისგან მალულად, საქართველოს ტერიტორიიდან საბაჟო წესის დარღვევით, ცდილობდა გადაეტანა დეკლარირებას დაქვემდებარებული, განსაკუთრებით დიდი ოდენობით საქონელი. ავტომანქანაში მოწყობილი სამალავებიდან ამოღებულია 700 ცალი მობილური ტელეფონი და 500 ცალი მაჯის საათი, რომლის საბაჟო ღირებულება ჯამში 19 800 ლარს შეადგენს.

საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლის მეორე ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით 5-დან 7 წლამდე.

# უკრაინის მოქალაქე ბათუმში დააკავეს



შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს, აჭარის პოლიციის დეპარტამენტისა და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის აჭარის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით უკრაინის მოქალაქე, 1983 წელს დაბადებული მ.მ. ბათუმში დააკავეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროდან აცნობეს, სამართალდამცველებმა, დაკავებულის პირადი ჩხრეკისას ბუპრენორფინის შემცველი ნარკოტიკული საშუალების 360 აბი და 79 ნატეხი ამოიღეს.

მათივე ცნობით, გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით).

# ავარია ქობულეთთან — დაშავებულია 3 პირი




ქობულეთის საავტომობილო გზაზე ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 3 ადამიანი დაშავდა. შემთხვევა გუშინ მოხდა.

დაშავებულები ქობულეთის საავადმყოფოში გადაიყვანეს.

როგორც „ნიუპოსტს“ შსს-ში განუმარტეს, ფაქტზე საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლით აღიძრა, რაც ტრანსპორტის გადაადგილების დარღვევას გულისხმობს.

# ახალგაზრდა ქალი, რომელიც ანაკლიაში GEM FEST-ზე შეუძლოდ გახდა, გარდაიცვალა

ანაკლიაში ახალგაზრდა ქალი გარდაიცვალა. ის ანაკლიაში მიმდინარე მუსიკალურ ფესტივალ GEM FEST-ს ესწრებოდა, რა დროსაც ცუდად გახდა და საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც გარდაიცვალა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

# ტრამპი კონგრესს დაუპირისპირდა



აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ რუსეთთან ურთიერთობა უპრეცედენტოდ დაბალ დონეზეა. მეტიც, ის სახიფათო ნიშნულს მიუახლოვდა.

— ამაში დამნაშავე კონგრესია, რომელმაც მიიღო კანონპროექტი რუსეთისათვის დამატებითი სანქციების დაწესების შესახებ, — თქვა ტრამპმა.

პრეზიდენტმა გულახდილად განაცხადა, რომ კანონპროექტზე ხელის მოწერა არ სურდა.

— ამ კანონპროექტით მეკრძალება, რომ რუსეთის წინააღმდეგ სანქციები შევარბილო, ანუ არ შემიძლია, საკუთარი საგარეო პოლიტიკა ვაწარმოო. ეს ჩემი, როგორც პრეზიდენტის, უფლებების შელახვაა, — თქვა ტრამპმა.

# ვაშინგტონმა შესაძლოა ჩინეთზე ზეწოლა გააძლიეროს

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ ჩინეთი არ დგამს საკმარის ნაბიჯებს იმისთვის, რომ ჩრდილოეთ კორეის ბირთვული ამბიციები დააოკოს. პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ მომავალ კვირას შესაძლოა ხელი მოაწეროს ბრძანებულებას, რომელიც აშშ-ის ბაზარზე ჩინური ნაწარმის შეღწევას პრობლემებს შეუქმნის.

— ყველაფერს ვიღონებთ საიმისოდ, რომ ჩრდილოეთ კორეის აგრესიული მოქმედებები გავანეიტრალოთ, — აცხადებს ტრამპი.

# აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი: ჩვენ რუსეთთან თანამშრომლობისათვის მზად ვართ!




რუსეთის პრემიერმა მედვედევმა აშშ-ის მიერ სანქციების შემოღება მკაცრად გააკრიტიკა. მან აღნიშნა, რომ ამით რუსეთ-აშშ-ს შორის ნებისმიერ თანამშრომლობას ხაზი გადაესვა. ამ სიტყვებს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი გამოეხმაურა.

— რუსეთი და აშშ ბირთვულ ზესახელმწიფოებს წარმოადგენენ. შესაბამისად, უნდა იპოვონ თავის თავში ძალა, რომ რიგ საკითხებში ითანამშრომლონ, — ნათქვამია განცხადებაში.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი თვლის, რომ რუსეთ-აშშ-ს უამრავი რამ აერთიანებთ. ერთ-ერთი ასეთი საკითხი ტერორიზმთან ბრძოლაა.

— სირიაში ჩვენი თანამშრომლობა წარმატებით ხორციელდება. ამის შედეგია ის, რომ სირიის ნაწილზე საომარი მოქმედებები პრაქტიკულად შეწყდა და უსაფრთხოების ზონები შეიქმნება, — თვლის აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი.

# მაკეინმა ტრამპის ადმინისტრაცია გააკრიტიკა



სენატორმა მაკეინმა მკაცრად გააკრიტიკა ტრამპის გადაწყვეტილება სირიელი პარტიზანებისათვის დახმარების პროგრამის შეჩერების შესახებ. მაკეინის აზრით, ეს აბსოლუტურად გაუმართლებელი ნაბიჯია.

— ამ გადაწყვეტილებამ პუტინის წისქვილზე დაასხა წყალი, — ამბობს მაკეინი.

აღსანიშნავია, რომ სენატორს თავში სიმსივნე აღმოუჩინეს და მან მძიმე ოპერაციაც გადაიტანა. მიუხედავად ამისა, ის აქტიურ მოღვაწეობას განაგრძობს. მაკეინის წვლილი უდიდესია იმაში, რომ კონგრესმა რუსეთის მიმართ დამატებითი სანქციების შემოღებას მხარი დაუჭირა.

# ადვოკატ ვესელნიცკაიასთან შეხვედრის მონაწილეებს უწყება გაუგზავნეს



აშშ-ში გრძელდება საპრეზიდენტო არჩევნებში რუსების ჩარევის საქმის გამოძიება. სპეცპროკურორმა მიულერმა, რომელიც ამ გამოძიებას ხელმძღვანელობს, ნაფიც მსაჯულთა ჟიური შექმნა. ეს იმას ნიშნავს, რომ ამიერიდან შესაძლებელი იქნება საქმეში მონაწილეთათვის ოფიციალურად უწყების გაგზავნა, ყველა დოკუმენტის მოთხოვნა და ა.შ. პირველი უწყება უკვე გაიგზავნა. მიულერმა ის რუს ადვოკატ ვესელნიცკაიასთან შეხვედრის მონაწილეებს გაეგზავნა. როგორც ცნობილია, ამ საიდუმლო შეხვედრას ტრამპის ვაჟი დონალდ ტრამპ-უმცროსიც ესწრებოდა.

— თავად ტრამპი არჩევნებში რუსების ჩარევის ფაქტს უარყოფს, — იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

აშშ-ის პრეზიდენტმა გამოთქვა იმედი, რომ მიულერის ხელმძღვანელობით ჩატარებული გამოძიება დაადგენს, რომ რუსების ჩარევას აშშ-ის არჩევნებში ადგილი არ ჰქონია.

# სირიაში უსაფრთხოების კიდევ ერთი ზონა შეიქმნა

რუსეთის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა, გენერალ-მაიორმა კაბაშენკოვმა განაცხადა, რომ სირიელ პარტიზანებთან მიღწეულია შეთანხმება კიდევ ერთი უსაფრთხოების ზონის შექმნის თაობაზე.

— ასეთი ზონა ჰომის მიდამოებში შეიქმნება, — ამბობს კანაშენკოვი.

„ამერიკის ხმის“ ცნობით, უსაფრთხოების ზონების შექმნით მდგომარეობა გარკვეულწილად გამოსწორდა. სამთავრობო ჯარებსა და ზომიერ სირიელ პარტიზანებს შორის შეტაკებები პრაქტიკულად შეწყდა. სირიის ოპოზიცია ქურთების ფორმირებებთან ერთად რაქადან ისლამისტების გაძევებისათვის იბრძვის.

— რაქას ჯერჯერობით ექსტრემისტული ორგანიზაცია „ერაყისა და ლევანტის ისლამური სახელმწიფო აკონტროლებს, — იტყობინება „ამერიკის ხმა“.

# პოლიტიკური რეპრესიები ბელორუსში



ბელორუსის პრეზიდენტმა ალექსანდრე ლუკაშენკომ ქვეყანაში მოქმედ დამოუკიდებელ პროფკავშირებს ბრალად უცხო მტრულ ძალებთან კავშირი დასდო. პრეზიდენტს არ დაუკონკრეტებია, თუ რომელ ძალებს გულისხმობდა, მაგრამ რუსეთისადმი ერთგულება კიდევ ერთხელ დააფიქსირა.

— დღეს, როცა ახალი ცივი ომი დაიწყო, ყოფილი სსრკ-ის ხალხების ერთიანობას ალტერნატივა არა აქვს! ან რუსეთთან ერთად ვიქნებით, ან მოხდება ის, რაც უკრაინაში ხდება, — თქვა ლუკაშენკომ.

ბელორუსის უშიშროებამ პროფკავშირების ლიდერთა ბინებში ჩხრეკა მოაწყო. ზოგიერთი აქტივისტი (ზიმინ გრინევიჩი) დააკავეს.

— ის, რაც ბელორუსში ხდება, სხვა არაფერია, თუ არა დევნა პოლიტიკური ნიშნით, — იტყობინება „დოიჩე ველე“.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ნანა ნადარეიშვილი:** მაწუხებდა დისბაქტერიოზი, პარალელურად დამეწყო თმის ცვენა, მივმართე ქალბატონ ლამარას, ჩავიტარე მკურნალობა მისი მითითებით. ორ კვირაში მქონდა იდეალური შედეგი.

**ხვიჩა გოგია:** კანზე მქონდა გამონაყარი, ქალბატონი ლამარას დამზადებული სითხეებით ორგანიზმი გავიწმინდე, ვიყენებდი მისივე დამზადებულ მალამოებს, შედეგი მაქვს. დიდი მადლობა ქალბატონ ლამარას.

**მზია დუნდუა:** მქონდა ქალური პრობლემები, მივაკითხე ქალბატონ ლამარას და ვარ უკვე გამოჯანმრთელებული. დღესაც ვაგრძელებ მკურნალობას მისი მითითებით.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე–10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# ბათუმი კონტინენტის თასზე ითამაშებს




საქართველოს ვიცეჩემპიონი ბათუმი მესამე დონის ევროტურნირ „ევროპული რაგბის კონტინენტის ფარზე“ რუმინეთის ჩემპიონ ტიმიშოარა-სარასენსთან, გერმანულ ჰაიდელბერგთან და ორ იტალიურ კლუბთან — როვიგოსა და ვიადანასთან ითამაშებს.

მესამე დონის ევროტურნირის ფორმატი წელს უცვლელი დარჩა (ფორმატის შეცვლის შემთხვევაში საქართველოს ტურნირში ორი გუნდით ჩართვის უფლება ექნებოდა. ამ ცვლილების განხორციელება მომავალი წლისთვის იგეგმება). მასში ჩართვის უპირატესი უფლება საქართველოს ჩემპიონ გორის ჯიქს ჰქონდა, თუმცა ტურნირში მონაწილეობისთვის საჭირო ფინანსები ვიცეჩემპიონმა ბათუმმა გამონახა და „კონტინენტის ფარზე“ საქართველოს ის წარმოადგენს.

„კონტინენტის ფარი“ 2018-19 სეზონის „ჩელენჯ ქაფის“ შესარჩევი ტურნირია და მასში წელსაც 8 გუნდი მონაწილეობს, რომლებიც 2 4-გუნდა ჯგუფში არიან გადანაწილებული. თითო ჯგუფის თითო გუნდი, საპირისპირო ჯგუფის ოთხივე გუნდთან თითო შეხვედრას გამართავს — ორს სტუმრად და ორს შინ. ჯგუფის საუკეთესოები პლეი-ოფში ენისეისა და კრასნი იარს შინ და გარეთ ეთამაშებიან და გამარჯვებულები გაისად ჩელენჯ ქაფზე გაირჯებიან. გარდა ამისა, ისინი კონტინენტის ფარის ფინალს ითამაშებენ და თასის მფლობელს გამოავლენენ.

ტურნირის ორგანიზატორები „ევროპის პროფესიული საკლუბო რაგბი“, „რაგბი ევროპა“ და იტალიის რაგბის კავშირი არიან. მასში 4 იტალიური კლუბი და თითო-თითო ქართული, რუმინული, პორტუგალიური და გერმანული გუნდი ითამაშებს. ბათუმი ბ ჯგუფში კალვიზანოსთან (იტალია), ლისაბონის უნივერსიტეტთან (პორტუგალია) და პეტრარკასთან (იტალია) მოხვდა. შესაბამისად, მისი მეტოქეები ა ჯგუფის წარმომადგენლები იქნებიან.


# განცხადებები

## გთავაზობთ სამსახურს

- გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.
- რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

## მკურნალობა

- ნანა ქიბროწაშვილი – ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი,პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა, ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი,ოჯახური გაუგებრობა. მის.: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7 . ტელ: 599-498-423 ნანა. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი ჩაწერით.
- სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები. გარანტიით! ტელ: 555-72-64-98.
- კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.
- ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.
- მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.
- სიმაღლეშიზრდისსწრაფიმეთოდითვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.
- იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.
- კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# ფიგუდან ნეიმარამდე

**როგორც მოგეხსენებათ, ნეიმარმა ბარსელონა დატოვა და პარი სენ ჟერმენთან 5-წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. ფრანგულ კლუბთან იგი 2022 წლის 30 ივნისამდეა დაკავშირებული.**






ახალგაზრდა ბრაზილიელი რომ კატალონიელთა ერთ-ერთი ლიდერი და მომავალი იყო, ამაში ეჭვი არავის ეპარება. რა თქმა უნდა, მისი დაკარგვა კლუბისთვის ძალიან მძიმე დანაკარგი იქნება, რომლის ამოვსებაც ახალწვეულებს გაუჭირდებათ.

ეს პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც ბარსელონას ლიდერი ტოვებს. მოდით გავიხსენოთ 21-ე საუკუნის დასაწყისი და ვნახოთ რა მოხდა, როდესაც კატალონიელებმა გუნდის ლიდერი დაკარგეს...

ალბათ უკვე მიხვდით, რომ საუბარი ლუიშ ფიგუზეა – ვისთვის ლეგენდა, ვისთვის კი მოღალატე. უდავოდ ყველაზე გახმაურებული და სკანდალური ტრანსფერი, რომელსაც დღეს ნეიმარის ტრანსფერს ადარებენ.

... ტრიბუნებიდან საგნების წვიმა წამოვიდა, როდესაც კუთხურის ალამთან მივიდა თეთრ ფორმაში გამოწყობილი ფიგურა, რომელიც მარდად იცილებდა მისი მისამართით ნასროლ ბოთლებსა და მონეტებს. გამაყრუებელი სტვენა უფრო მძაფრდება, როდესაც იგი უგულებელყოფს ხალხის რეაქციას.

მოღალატე! იუდა! – ასე უყვირიან მას ტრიბუნებიდან. კარლეს პუიოლის თხოვნაც კი ვერ აჩერებს აბობოქრებულ საზოგადოებას. წამიერად თითქოს ყველანი ჩუმდებიან, როდესაც ჰაერიდან ხორცის ობიექტი ვარდება და მიზნიდან რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით ეცემა. ობიექტი: ღორის თავი! მიზანი: „კამპ ნოუს“ ყოფილი, გამორჩეულად საყვარელი ნახევარმცველი – ლუიშ ფიგუ!

1995 წელს, როდესაც ლუიშ ფილიპე მადეირა კაეირო ფიგუ კატალონიაში ჩავიდა, ის უკვე ვარსკვლავი იყო. პორტუგალიის „ოქროს თაობის“ ლიდერი ფიგუს ტალანტი უდავო იყო: შემტევი სტილის ნახევარმცველი, რომელსაც შეეძლო საოცრად ეფექტურად წამოეწყო და დაესრულებინა თამაში. 1991 წლის მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე ფიგუმ საკუთარი ქვეყნის წარმატებაში უდიდესი როლი ითამაშა. ლისაბონის სპორტინგის აკადემიის აღზრდილის დებიუტი პირველ გუნდში 17 წლის ასაკში შედგა. პორტუგალიურ კლუბში მან 6 წარმატებული წელი გაატარა, 10 გოლი გაიტანა და ბოლო წელს ქვეყნის ჩემპიონატიც მოიგო.

1995 წლის ზაფხული მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ფიგუსთვის, ვინაიდან მავანთა მდაბიო რჩევების წყალობით მან ერთდროულად ორ იტალიურ კლუბთან გააფორმა კონტრაქტი – იუვენტუსი და პარმა. სკანდალი მაშინ გასკდა, როდესაც ორივე კლუბის კონტრაქტზე ლუიშ ფიგუს ხელმოწერა აღმოჩნდა. შედეგად 2 წლის განმავლობაში სერია ა-ში თამაშის უფლება აუკრძალეს, რამაც კატალონიაში მის ტრანსფერს გზა გაუხსნა.

ფიგუს ძალიან ცოტა დრო დასჭირდა გულშემატკივრების გულის მოსაგებად – გაიტანა 9 გოლი სადებიუტო სეზონში და გახდა „კამპ ნოუს“ ფავორიტი. საწყისი წლები ნაყოფიერი აღმოჩნდა როგორც ფიგუსთვის, ასევე – ბარსელონისთვის: მათ შეძლეს ესპანეთის სუპერ თასის (1996), უეფას თასების მფლობელთა თასის (1997), კოპა დელ რეის (1998, 1999) და ესპანეთის ლიგის თასის (1998, 1999) მოგება. პეპ გვარდიოლას გვერდით თამაშისას ის განსაკუთრებულად გამოირჩეოდა და მალე კაპიტნის სამკლავურიც მოირგო. საქმე კარგად მიდიოდა როგორც კატალონიელებისთვის, ასევე პორტუგალიელისთვის, მაგრამ 2000 წლის ზაფხულში ყველაფერი შეიცვალა.

საპრეზიდენტო არჩევნები ნებისმიერი კლუბისთვის სახიფათო მოვლენაა – სავსე გრანდიოზული დაპირებებით. არაფრით განსხვავდებოდა 2000 წელს მადრიდის რეალის საპრეზიდენტო არჩევნებიც: მოქმედი ხელმძღვანელი, ლორენცო სანსი სკამის შენარჩუნებისთვის იბრძოდა. მისი კონკურენტი კი პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატი და მადრიდის საბჭოს წევრი, ფლორენტინო პერესი გახლდათ. 1995 წლის არჩევნებში განცდილი წარუმატებლობის შემდეგ პერესი არაფრის დათმობას არ აპირებდა. გარდა არსებული რეჟიმის ლანძღვისა, მისი საარჩევნო კამპანია კიდევ ერთ დაპირებაზე იდგა – ლუიშ ფიგუს გადაყვანა მადრიდის რეალში. პრესაში უმალვე აჟიოტაჟი ატყდა.

პერესი ირწმუნებოდა, რომ მას ჰქონდა საიდუმლო დოკუმენტი, ხელმოწერილი ფიგუს მიერ, რომელიც რეალში პორტუგალიელი ფეხბურთელის გადასვლის გარანტიას იძლეოდა. თავად ფიგუ უარყოფდა ყოველივე ხსენებულს და ესპანური მედიისთვის მიცემულ ინტერვიუებში აცხადებდა:

– მინდა დავარწმუნო გულშემატკივრები, რომ ლუიშ ფიგუ 24 ივლისს ახალი სეზონის დასაწყებად „კამპ ნოუზე“ იქნება. მე გიჟი არ ვარ, რომ მსგავსი რამ გავაკეთო.

ეს იყო დაახლოებით ივლისის დასაწყისში...

ლორენცო სანსი საპრეზიდენტო არჩევნებში დამარცხდა. მადრიდელთა ახალი ხელმძღვანელის, პერესის ხედვა ემყარებოდა ისეთი გუნდის ჩამოყალიბებას, როგორიც მსოფლიოს ჯერ არ ენახა. იგი მადრიდისთვის 50-ანი წლების დიდების დაბრუნებას გეგმავდა. საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების გამოვლენამდე ფიგუ ოჯახთან ერთად არდადეგებს სარდინიაზე ატარებდა. შედეგების გამოცხადებისთანავე ფიგუ და თავისი ოჯახი სპეცრეისით მადრიდის მიმართულებით გაფრინდნენ.

ლუიშ ფიგუ მადრიდის რეალის ფეხბურთელი ზუსტად 24 ივლისს გახდა და პრესას პომპეზურად წარუდგინა მადრიდელთა ახალარჩეულმა პრეზიდენტმა პერესმა. იმ დროისთვის რეკორდული სატრანსფერო თანხა (54 მილიონი ევრო) იყო ერთადერთი, რაც სულ მცირედ მაინც უმსუბუქებდა კატალონიელებს იმ ტკივილს, რომელიც მათ ერთ-ერთმა საყვარელმა ფეხბურთელმა მიაყენა. ერთ-ერთმა პორტუგალიურმა გამოცემამ ასე შეაჯამა ფიგუს სატრანსფერო საგა – ფიგუ არის ბოლო დროის ყველაზე დიდი ფულის მტაცებელი.

ერთ-ერთი „ელ კლასიკოს“ დროს „კამპ ნოუზე“ შეკრებილმა გულშემატკივრებმა გამოფინეს ბანერი წარწერით, რომელიც არასდროს არავის დაავიწყდება – საშინლად გვძულხარ, იმიტომ, რომ ძალიან გვიყვარდი.

რა თქმა უნდა, ამ ტრანსფერზე ჯერ კიდევ დიდი დავა მიმდინარეობს, ბევრი თავად ფეხბურთელს აკრიტიკებს, ზოგი კი თვლის, რომ მისი გადასვლა ბარსელონის იმჟამინდელი ხელმძღვანელობის კისერზეა...

... კატალონიურ გრანდში ამის შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. 2003 წლის ზაფხულში კი მოხდა კლუბის ისტორიაში ალბათ ერთ-ერთი საუკეთესო რამ – ბარსელონამ პარი სენ ჟერმენიდან რონალდინიო შეიძინა.

უსაზღვრო ტექნიკისა და ნიჭის მქონე ფეხბურთელი, ბევრისთვის დღემდე საყვარელი ფეხბურთელი. გაუჩო საფეხბურთო სამყარომ მალე შეიყვარა და გუნდის ლიდერადაც იქცა. ბევრი ბარსელონელი ვერ დაიკვეხნის იმით, რომ მას „სანტიაგო ბერნაბეუზე“ შეკრებილი საზოგადოება ტაშს უკრავდა, ეს მხოლოდ რჩეულების ხვედრია და რონალდინიოც ამ რჩეულებში შედის.

სწორედ რონალდინიოს ერაში დაიწყო მომავალი მსოფლიოს ვარსკვლავის, ხუთგზის საუკეთესო ფეხბურთელისა და ბევრისთვის ყველა დროის პირველი ფეხბურთელის, ლეო მესის აღზევება და ბევრის აზრით, ბრაზილიელმა არგენტინელის სწორად განვითარებაში უდიდესი წვლილი შეიტანა.

რონალდინიოს ბარსელონამ შეძლო და 14 წლის შემდეგ ნანატრი, რიგით მეორე ჩემპიონთა ლიგა მოიგო. კატალონიელებმა ფინალში საკმაოდ დაძაბულ ბრძოლაში ლონდონის არსენალი 2:1 დაამარცხეს.

სამწუხაროდ, ბრაზილიურმა სენმა მალევე იჩინა თავი და გაუჩოს კარიერა ისე არ აეწყო, როგორც ამას ბევრი იმედოვნებდა და წინასწარმეტყველებდა. რონალდინიომ ბარსელონაში მხოლოდ 5 წელი გაატარა და 2008 წელს მილანის რიგებს შეუერთდა.

მისი წასვლის შემდეგ ბარსელონის შემტევი ტრიო მესიმ, ეტოომ და ტიერი ანრიმ დააკომპლექტეს და ეს სეზონი კლუბის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო გამოდგა. კატალონიელებმა პეპ გვარდიოლას მეთაურობით ტრებლი მოიგეს, დაამარცხეს რა ჩემპიონთა ლიგის ფინალში მანჩესტერ იუნაიტედი (2:0) ეტოოსა და მესის გოლებით.

2009 წელს ბარსელონამ და ინტერმა ლიდერები გაცვალეს. კატალონიელებმა სამუელ ეტოოსა და კიდევ თანხის სანაცვლოდ იტალიელებისგან ზლატან იბრაჰიმოვიჩი მიიღეს. ბევრისთვის სწორი, ბევრისთვის კი არასწორი გადაწყვეტილება იმით დასრულდა, რომ ამ სეზონში ბარსელონა ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში სწორედ ჟოზე მოურინიოს ინტერმა ორი მატჩის ჯამში (3:2) დაამარცხა.

„ბლაუგრანას“ შემტევი ტრიო ამ სეზონის შემდეგაც შეიცვალა. კლუბი ტიერი ანრიმ და ზლატან იბრაჰიმოვიჩმა დატოვეს და მომდევნო სეზონისთვის მეტოქეებს უკვე მესი-ვილია-პედროს ტრიო უტევდა. ეს სეზონი შესანიშნავი გამოდგა – სწორედ ამ სამეულის გოლებით, ბარსელონამ „უებლიზე“ 3 მაისს, ჩემპიონთა ლიგის ფინალში კვლავ მანჩესტერ იუნაიტედს სძლია (3:1) და ამ ტიტულს ისტორიაში მეოთხედ დაეუფლა.

2011-12 წლების სეზონისთვის ბარსელონის შეტევა კვლავ განსხვავებული იყო. მართალია გუნდი ვილიასა და პედროს არ დაუტოვებიათ, თუმცა კატალონიელებმა უდინეზედან ალექსის სანჩესი შეიძინეს და ეს ფეხბურთელი ლურჯ-ბროწეულისფერ ფორმას 2014 წლამდე ატარებდა.

ამ შეტევამ 2012-13 წლების სეზონის ჩათვლით „გაძლო“, 2013 წელს კი კლუბს შეუერთდა წლევანდელი ზაფხულის მთავარი პროტაგონისტი, ნეიმარ ჯუნიორი, ხოლო კლუბი კი, დავიდ ვილიამ დატოვა.

ერთი წლის შემდეგ ბარსელონამ ლივერპულიდან ლუის სუარესიც შეიძინა და საბოლოოდ დაკომპლექტდა მსნ-ს მრისხანე შემტევი ტრიო.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 2015 წელს გუნდი პედრო როდრიგესმაც დატოვა. საკმაოდ ხანგრძლივი და ძალზე წარმატებული ბარსელონური კარიერის შემდეგ ესპანელმა ლონდონის ჩელსის მიაშურა.

როგორც ვხედავთ, ბოლო ათწლეულის განმავლობაში ვარსკვლავები მოდიოდნენ და მიდიოდნენ. უცვლელი რჩებოდა მხოლოდ ერთი – ის, ვინც მთელი კარიერა „ბლაუგრანას“ მიუძღვნა, ის, ვინც ამ გუნდის ბოლოდროინდელ წარმატებებში ლომის წვლილი შეიტანა და ის, ვინც გულშემატკივრებს უბრალოდ სახტად ტოვებდა მისი შესანიშნავი თამაშით – მესი.

დავუბრუნდეთ ისევ მთავარ თემას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 2013 წელს ნეიმარისა და 2014 წელს ლუის სუარესის ტრანსფერის შემდგომ დაკომპლექტდა სამხრეთ ამერიკული ტრიო – მსნ. ამ შეტევამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა და ბოლო წლების ერთ-ერთი საუკეთესო (თუ საუკეთესო არა) წინა ხაზი ჩამოაყალიბა.

2014-15 წლების სეზონში ამ ტრიოს გოლებით გუნდმა ჩემპიონთა ლიგაც მოიგო. ფინალში კი ტრიოდან ორმა გოლის გატანაც მოახერხა. შეგახსენებთ, რომ მაშინ კატალონიელებმა ტურინის იუვენტუსს რაკიტიჩის, სუარესისა და ნეიმარის გოლებით 3:1 სძლიეს.

ამის შემდგომ იყო არცთუ ისე წარმატებული 2 სეზონი. 2016 წელი კატალონიელებმა ლა ლიგითა და კოპა დელ რეით დაასრულეს, რაც შეეხება ჩემპიონთა ლიგას – მეოთხედფინალში ისინი ატლეტიკოსთან დამარცხდნენ.

გასულ სეზონს კი, სამწუხაროა, რომ „კამპ ნოუზე“ მომხდარი სასწაულის მიუხედავად, მაინც წარუმატებელი უნდა ვუწოდოთ. „ბარსელონამ“ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში პსჟ-სთან 0:4 დამარცხების შემდეგ ისტორიული და წარმოუდგენელი „ქამბექი დადო“ და სუარესის, ნეიმარის, მესის, სერხიო რობერტოს გოლებითა და კურზავას ავტოგოლით პარიზელები 6:1 გაანადგურა. მიუხედავად ამისა, მომდევნო ეტაპზე „ბლაუგრანა“ იუვენტუსმა 3:0 დაამარცხა.

საბოლოოდ კი ისე მოხდა, რომ ლუის ენრიკეს ბოლო სეზონში გუნდმა მხოლოდ ესპანეთის თასი მოიგო.

ამის შემდეგ კლუბის ისტორიაში დაიწყო ახალი ერა, შეიცვალა მწვრთნელი და გუნდს სათავეში ჩაუდგა ერნესტო ვალვერდე. ყველასთვის ნათელი იყო, რომ ბარსელონის გაძლიერება სჭირდებოდა და განსაკუთრებით 2 პოზიციაზე – მარჯვენა მცველსა და ცენტრალურ ნახევარმცველზე. კლუბის პრეზიდენტიც გულშემატკივრებს ტრანსფერებს და მომდევნო სეზონისთვის შესანიშნავ და კონკურენტუნარიან გუნდს ჰპირდებოდა.

პირველ რიგში, ხოსეპ მარია ბართომეუმ მთელი ყურადღება მარკო ვერატის ტრანსფერს მიაპყრო, რომელიც პსჟ-ს ღირსებას იცავს. ბოლო წლებში ამ გუნდთან კატალონიელებს არცთუ ისე კარგი სატრანსფერო ისტორია აკავშირებთ და, სამწუხაროდ, ნავსი არც ამჯერად გატყდა – კლუბს იმედი თითქმის გადაეწურა.

ხელმძღვანელებმა გადაწყვიტეს, ჯერ მეორე პრობლემა მოეგვარებინათ და მთავარ კანდიდატურას, ექტორ ბელერინს მიუბრუნდნენ. ტრანსფერი ამ შემთხვევაშიც არ შედგა, თუმცა საბოლოოდ არჩევანი მის ალტერნატივაზე, ნელსონ სემედუზე შეჩერდა და პორტუგალიელი ფეხბურთელი კლუბს ბენფიკადან შეუერთდა.

ახლა კი მოვედით დღემდე და ნეიმარი პსჟ-ში გადავიდა.

როგორ დაიწყო ყველაფერი? პარი სენ ჟერმენი ნეიმარის შეძენას უკვე მერამდენე ზაფხულია ცდილობდა. ამ გუნდის ფინანსურ შესაძლებლობებში ეჭვი არავის ეპარება, მაგრამ მაინც წარმოუდგენელი იყო, რომ ნასერ ალხელაიფი და მისი კოლეგები ბრაზილიელის ტრანსფერს ასე მიუახლოვდებოდნენ.

ჭორები და მითქმა-მოთქმა სულ რამდენიმე კვირის წინ დაიწყო და მალევე მოიცვა მთელი მსოფლიო. ყველას ყურადღების ქვეშ მოქცეული ნეიმარი სიჩუმეს ინარჩუნებდა და თავის მომავალზე არ საუბრობდა. ეს კი ბევრისთვის სწორედ იმის მიმანიშნებელია, რომ ფეხბურთელს წასვლა გადაწყვეტილი ჰქონდა. რა იყო ამის მიზეზი?

ვერავინ იტყვის, რომ მას კლუბში ცუდი ურთიერთობა აქვს. რა თქმა უნდა, გვახსოვს რამდენიმე დღის წინანდელი ჩხუბი ნელსონ სემედუსთან, თუმცა ეს სატრანსფერო საგის დაწყების შემდეგ მოხდა და თანაც ამხანაგური „ელ კლასიკოს“ შემდეგ დავრწმუნდით, რომ სერიოზული არაფერია და ნეიმარისა და სემედუს ჩახუტებულმა ფოტომ სოციალური ქსელებიც მოიარა.

ტრანსფერის მიზეზად უამრავი ადამიანი კოლოსალურ თანხებს ასახელებს. მართლაც რთულია წარმოიდგინო, რომ ოდესმე შეძლებ და წელიწადში 30 მილიონიან თანხებზე უარს იტყვი. წარმოუდგენელია ამხელა თანხაზე უარის თქმა. ნეიმარისთვისაც კი, რომლის ანაზღაურება არცთუ დაბალი იყო და 15 მილიონ ევროს შეადგენდა, რთული იყო ამ თანხაზე ორჯერ მეტ ხელფასზე უარის თქმა, თუნდაც სპორტული თვალსაზრისით უკან გადადგმული ნაბიჯის სანაცვლოდ.

მოგეხსენებათ, საფრანგეთის ჩემპიონატი ექსპერტთა შეფასებით ევროპის ხუთეულშიც კი არ არის. თუნდაც იმ მარტივი მიზეზით, რომ „ოქროს ბუცის“ რეიტინგში ამ ჩემპიონატში გატანილი გოლის კოეფიციენტი 1.5-ა, მაშინ როდესაც წამყვან საფეხბურთო ქვეყნებში 2-ს უტოლდება. ვერც პარი სენ ჟერმენი დაიკვეხნის ევროტურნირებზე დიდი წარმატებით. ნეიმარის ბარსელონური კარიერა კი ასე თუ ისე წარმატებით მიმდინარეობდა და კატალონიური კლუბიც ნებისმიერ ტურნირზე გაცილებით უფრო კონკურენტუნარიანია, ვიდრე პარი სენ ჟერმენი.

აქ კი ბევრისთვის მეორე არგუმენტი შემოდის – ნეიმარს სურს, რომ „მესის ჩრდილს გაექცეს“. ბევრის აზრით, ნეიმარი „ბარსელონაში“ თავის შესაძლებლობებს ბოლომდე ვერ ავლენს.

ყველას თავისი აზრი აქვს, მათ შორის დიდ იოჰან კრუიფსაც, რომელმაც ადრე განაცხადა, რომ – ერთ ბუნაგში ორი დათვი ვერ გაჩერდება. ბევრს ეგონა, რომ 3 შესანიშნავი ფეხბურთელი ერთ გუნდში, ერთ ბუნაგში ძლიერ შემტევ ხაზს ვერ ჩამოაყალიბებდა. რამდენიმე დღის წინ თამამად ვიტყოდით, რომ ასეთი ადამიანებიც კი, როგორიცაა იოჰან კრუიფი, ცდებოდა. მაგრამ, როგორც ჩანს, ნეიმარის „დათვობამაც“ იჩინა თავი და ბევრი გულშემატკივრის აზრით, სწორედ ეს არის ტრანსფერის მიზეზი.

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**



# TV პროგრამა

## ორშაბათი 7 აგვისტო

06.00 მუსიკა პირველზე 06.30 დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" 07.30 "ნამდვილი დრო" 08.00 "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" 09.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00 "მოამბე" 09.15 ტ/სერ. "წინ" წარმატებისკენ" 10.10, 02.25 "პირადი ექიმი" 11.00 ტ/სერ. "ჩენტო ვეტრინე" 12.30 "საუკუნის პორტრეტები" 13.00 დღის მხ/ფ "მილიონ გირვანქიანი ბანკნოტი" (გ.პეკი) 15.00 დოკ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა" 16.15 დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" 17.00 ტ/სერ. "ოფისი" 18.30 "ტელებლოგი" 19.00 ტ/სერ. "ძველი ხიდის საიდუმლო" 20.40 "სპორტის დაფა" 21.00 ტ/სერ. "ცბიერი მოახლეები" 22.00 ტ/სერ. "მთავრობა" 23.00 "ეროვნული ლიგის მიმოხილვა" 23.20 მხ/ფ "ტკბილი თავისუფლება" (მ.პფაიფერი) 01.10 მხ/ფ "მშვიდობით ბარი" 03.25 მხ/ფ "მილიონ გირვანქიანი ბანკნოტი" (გ.პეკი) 05.00 დოკ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა"

ტექნიკური მიზეზების გამო არხის პროგრამას ვერ ვაქვეყნებთ.

08.00, 14.40 სერ. "ელიფი" 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.15 ქრონიკა 09.20 სერ. "პატარძალი" 11.20 სერ. "ფიცი" 12.30 სერ. "ღირსების სახელით" 6 სერ. 16.00 სერ. "ოჯახური პორტრეტი" 1 სერ. 17.35 სერ. "ხაფანგი" 18.45, 19.03 სერ. "მოპარული ცხოვრება" 21.00 სპორტი 21.08 ამინდი 21.10 სერ. "ძმა" 22.30 სერ. "ვიკინგები 3" 7-8 სერ. 00.00 მხ/ფ "კარგი ადამიანები" 01.30 მხ/ფ "ბრალდებულები" 03.30 მხ/ფ "სიყვარული და ღირსება" 05.30 მხ/ფ "ილუზიონისტი"

05.30 სერ. "კაცი" 06.30, 19.45, 20.03 სერ. "დესპოტი ქმარი" 07.30 მხ/ფ 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 09.10 სერ. "დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა" 10.15 სერ. "მფარველი ანგელოზი" 12.30 სერ. "ვარსკვლავის დაბადება" 13.55 სერ. "ფერიჰას საიდუმლო" 15.30 სერ. "წარსულის ჩრდილი" 16.55 სერ. "დაკარგული წლები" 18.45 სერ. "კაცი" - ამოვარდა 22.00 სერ. "ჩემი ცოლის დაქალები" 23.30 დოკ/ფ "აგვისტოს ომი 1" სერ. "დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა"

08.00 ან/ფ "ავატარი" 09.00 სერ. "მონკი-3" 12.00 სერ. "კრიმინალური რომანი" 4 სერ. 13.00 მხ/ფ "ჯეკი" 15.00 სერ. "ანტიმაფია 8" 17.00 სერ. "ინტერესის ობიექტი 4" 18.00 სერ. "ინტერესის ობიექტი 5" 1 სერ. 19.00 სერ. "გრეის ანატომია 12" 21.00 სერ. "კრიმინალური რომანი" 5 სერ. 22.30 მხ/ფ "მღვდელი" 00.15 მხ/ფ "ილაის წიგნი" 02.25 მხ/ფ "სხვას გადაუხადე" 04.45 მხ/ფ "ჩემი პირადი აიდაჰო" 06.40 მხ/ფ "გახსოვდეს ქვირა დღე"

08.00 ანანდა 08.10 მულტფილმი 08.20 სერ. "ღმერთების ხელდასხმული" 09.10 მულტ/სერ. "სისი" 09.35 დოკ/ფ "მოგზაურობა საფრანგეთში" 10.25 ავტომანი 10.40, 13.40, 14.40, 17.40, 21.20, 22.25 ტელემარკეტი 11.00, 14.00, 17.00, 17.55, 19.00, 23.30, 02.20 ახალი ამბები 11.20 სერ. "უდიდესი გეოგრაფიული აღმოჩენები" დედამიწის ფორმა I ნაწ. 11.50 მოდი გავიყაროთ 12.40 ბენეფისი 15.00 სერ. "ბანდოლერა" 16.25 Hellow თბილისი 18.00 ღია სტუდია 19.55 მე რომ ვიყო 20.00 სერ. "ფოილის 21.30 დე ფაქტო 22.35 სერ. "სიყვარულსა და შიშს შორის" 0.00 მხ/ფ "მზის ტყვეები" 1.30 მოდი გავიყაროთ 03.00 ღია სტუდია 04.00 სერ. "რაუ"

